

**უცხოელები ბათუმის შესახებ და საინფორმაციო მუნიციპალიტეტის მარშრუტები**  
**FOREIGNERS ABOUT BATUMI AND INTERESTING TOURIST ROUTES**



TEMUR ZOIDZE, OTAR GOGOLISHVILI, TEONA ZOIDZE

# **FOREIGNERS ABOUT BATUMI AND INTERESTING TOURIST ROUTES**

„PUBLISHING HOUSE AJARA“ JNT.-STC. CO.  
BATUMI – 2021



თეზურ ზოიძე, ოთარ გოგოლიშვილი, თეონა ზოიძე

# უცხოელები გათუმის შესახებ და საინფორმაციო გუჩისგული მეარსებები

ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“  
გათუმი – 2021

რედაქტორი  
**გუნა სამნიძე**

Editor  
**GUNA SAMNIDZE**

ინგლისური თარგმანი  
**თეონა ზოიძე**

English Translation  
**TEONA ZOIDZE**

მხატვრული რედაქტორი  
**გურამ გუჯაბიძე**

Art Editor  
**GURAM GUJABIDZE**

ტექნიკური რედაქტორი  
და დამკაბადონებელი  
**მალხაზ ფალავა**

Technical Editor  
& Imposer  
**MALKHAZ PAGAVA**

კორექტორები:  
**ინგა გოგიბერიძე**  
**მზია აბულაძე**  
**ანა აბაშიძე**

Correctors:  
**INGA GOGIBERIDZE**  
**MZIA ABULADZE**  
**ANNA ABASHIDZE**

ოპერატორი  
**ზაალ შენგელია**

Operator  
**ZAAL SHENGELIA**



მადლობას ვუხდით აჭარის ა.რ. ტურიზმის  
გიდების ასოციაციას მხარდაჭერისთვის

We are thankful to Ajara Tourism  
Guide Association for support

UDC (უაკ) 94(479.223-25)(093)+913(479.223-25)(036)  
ზ-777

ISBN 978-9941-460-95-1

© თემურ ზოიძე/Temur Zoidze, 2021

© ოთარ გოგოლიშვილი/Otar Gogolishvili, 2021

© თეონა ზოიძე/Teona Zoidze, 2021

© ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“/„Publishing House Ajara“ Jnt.-Stc. Co., 2021

## წინათქმა

წინამდებარე წიგნს (მონოგრაფიას) – „უცხოელები ბათუმის შესახებ და საინტერესო ტურისტული მარშრუტები“ – ვუწოდეთ. მასში შეტანილია საარქივო მასალებიდან ჩანაწერები, რომლებშიც აღწერილია უცხოელი მოგზაურების მიერ დანახული ბათუმი XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველ ათწლეულში. აღნიშნული მასალები მოძიებულია ჩვენ მიერ და აღსანიშნავია, რომ მსგავსი მასალები პირველად შემოდის სამეცნიერო ლიტერატურაში.

მონოგრაფიაში წარმოდგენილია ბევრი უნიკალური ფაქტი ბათუმის წარსული ცხოვრებიდან, რაც გვარწმუნებს ქალაქის განსაკუთრებულობაში და იოლად მისახვედრი ხდება, თუ რატომ იბრძოდნენ მრავალი წლის მანძილზე რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიები ბათუმის ხელში ჩასაგდებად.

წიგნი ერთგვარ სახელმძღვანელოს ფუნქციასაც იკისრებს ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებული სპეციალისტებისთვის, რადგანაც ნაშრომში წარმოდგენილ უცხოელთა ჩანაწერებში მოხსენიებული ბევრი ადგილი დღეს აღარ არსებობს და დარწმუნებული ვართ, ჩვენი ქალაქის ვიზიტორები დაინტერესდებიან სწორედ მათი მონახულებით, ვინაიდან ზემოაღნიშნული ნაწილია კულტურული ტურიზმისა, რასაც დიდი მონონება აქვს მთელ მსოფლიოში.

ჩანაწერებში უცხოელი მოგზაურები კარგად აღწერენ იმდროინდელი ბათუმის ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობას, ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს, რაც, ასევე, საინტერესო თემაა ქალაქის ვიზიტორთათვის. გიდებს შეუძლიათ, ვიზიტორები წაიყვანონ იმ ლოკაციებზე, რომლის შესახებაც ნაშრომში საკმაო მასალებია მოცემული და გააცნონ ადგილზე მისი ამჟამინდელი მდგომარეობა.

ნაშრომი მიზნად ისახავს ქალაქ ბათუმის პოპულარიზაციას, ტურიზმის ინდუსტრიის მესვეურთა დაინტერესებას ამ ქალაქით და ვიზიტორების მოზიდვის ხელშეწყობას მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

წიგნი ორენოვანია (ქართული და ინგლისური) და გამდიდრებულია ფოტომასალით. მასში აღწერილი საორიენტაციო ადგილები, წეს-ჩვეულებები, შენობები, ფილმები, იმდროინდელი ყოფა-ცხოვრება უთუოდ დიდ ინტერესს გამოიწვევს ტურისტებში და მისცემს საშუალებას, შეადარონ ძველი ბათუმი ახალ, თანამედროვე ქალაქს.

წიგნი, უდავოდ, გამოიწვევს დიდ ინტერესს მკითხველი საზოგადოების ფართო წრეშიც, რადგან ამ ნაშრომით გაეცნობიან ჩვენი ქალაქის უნიკალურ და საუკუნეების განმავლობაში ცვალებად ისტორიას.

**ავტორები**

## რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცე საუკუნის 20-იანი წლების ბათუმის შესახებ უცხოელეების ჩანაწერების საზოგადოებისთვის გაცნობის უნიკალურ ცდას. ავტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ არა მხოლოდ მოიძიეს უძველესი დოკუმენტები, არამედ შეადგინეს საორიენტაციო მარშრუტები ტურისტებისათვის ბათუმის იმ ადგილების შესახებ, რომელზედაც საუბარია უცხოელ მოგზაურთა მონათხრობებში.

ბათუმი საქართველოს ქალაქებს შორის გამოირჩევა მისი მძიმე წარსულით. იშვიათია ქალაქი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში, რომლის დასაუფლებლად საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთს ეომებოდნენ დიდი იმპერიები. ბათუმი წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტს რუსეთ-ოსმალეთის თითქმის ყველა ომში და მის ხელში ჩასაგდებად უამრავი ადამიანის სიცოცხლე ეწირებოდა.

ბათუმი 300 წლის განმავლობაში იმყოფებოდა ოსმალთა ბატონობის ქვეშ; შემდგომ, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ, მოექცა რუსეთის ცარიზმის იმპერიის მფლობელობაში. ყველა დამპყრობელი ცდილობდა საქართველოს ამ უნიკალური კუთხის თავის საიმპერიო სხეულთან ინკორპორაციას, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა ადგილობრივი მოსახლეობის მძაფრი წინააღმდეგობის გამო.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბათუმით ბევრი უცხოელი ინტერესდებოდა, როგორც ოსმალთა, ასევე რუსეთის ცარიზმის დროსაც. ავტორთა დამსახურებაა, რომ მათ საზოგადოებას გააცნეს აქამდე უცნობი ფაქტები ბათუმის წარსულიდან,

რომლებიც უკავშირდება ინგლისელი, ავსტრიელი, გერმანელი, ნორვეგიელი, იტალიელი, ფრანგი მოგზაურების ჩანაწერებს ბათუმის შესახებ. აღნიშნული ჩანაწერები იმდენად უნიკალურია, რამდენადაც საზოგადოებას შეუძლია, გაეცნოს ქალაქის ისტორიის ჯერ კიდევ უცნობ საკითხებს – უცხოელები თავიანთ ჩანაწერებში აღწერენ იმდროინდელი ბათუმის ცხოვრების ყველა სფეროს და საინტერესო დასკვნებსაც აკეთებენ. მნიშვნელოვანია, რომ აღწერილი ფაქტებიდან და ადგილებიდან ბევრი რამ დღემდე უცნობი იყო. ნაშრომის მიზანს სწორედ საზოგადოებისთვის მათი გაცნობა წარმოადგენს. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ავტორებმა დიდი შრომა გასწიეს უცხოელთა ჩანაწერების მიხედვით იმისთვის, რომ არა მხოლოდ აღედგინათ ძველი ქალაქის სურათი, არამედ გაეკეთებინათ მიახლოებითი საორიენტაციო მარშრუტები.

უდავოა, წარმოდგენილი მონოგრაფია დიდ შენაძენი იქნება როგორც უცხოელი ტურისტებისთვის, ასევე ადგილობრივი ტურიზმის წარმომადგენელთათვის – მათ ეძლევათ საშუალება, გაეცნონ ბათუმის წარსულს, ჰქონდეთ ინფორმაცია ქალაქის იმ ადგილებზე, რომლებიც დღეს აღარ არსებობს, რის შესახებაც გიდები მოუთხრობენ ბათუმში ჩამოსულ ათასობით ვიზიტორს, რაც ქალაქის პოპულარიზაციისთვის და მისი წარსულის საინტერესოდ წარმოჩენისათვის უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობაა.



**მარინა მიტრაშვილი**

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი.

ტურიზმის კვლევის, განვითარებისა და ინოვაციების

ცენტრის CiTUR-ის ინტეგრირებული წევრი,

საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი,

საერთაშორისო ტურიზმის მეცნიერ-ექსპერტთა

ასოციაციის Aiest მუდმივი წევრი,

ტურიზმის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი,

საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო საზოგადოების წევრი,

ტურიზმის საერთაშორისო ექსპერტი

## შესავალი

სულიერებისა და კულტურის, შეიძლება ასე ითქვას, ერთ-გვარი ნაზავია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ბათუმი. ისტორიული ფაქტები მეტყველებს მის განსაკუთრებულობაზე საქართველოს კუთხეებს შორის. მრავალი წლის მანძილზე აქ ჩქეფდა სასულიერო და საერო ცხოვრება. კოლხეთის უპირველესი ქალაქი, საქართველოს საზღვაო ჭიშკარი – ბათუმი თავისი სიძველით იმთავითვე იპყრობდა მოგზაურობის მოყვარულთა ყურადღებას. მის მომნახველთა შორის ბევრი უცხოელი მწერალი თუ მეცნიერია და ბევრ მათგანს აქვს აღწერილი ამ ქალაქის ისტორიული და კულტურული წიაღსვლები.

ბათუმის ისტორია ორი ათას წელზე მეტ დროს მოიცავს. იგი მდებარეობს ევრაზიის ორი უდიდესი კულტურის გზაგასაყარზე. ბათუმის ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები თავისი უნიკალური ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით ამოუწურავ პოტენციალსა და სტრატეგიულ პოლიგონს წარმოადგენს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. **ასეთი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა საუკეთესო საშუალებაა ბათუმში და მის მიმდებარედ ტურისტული მარშრუტების მარკირება-დაგეგმარებისთვის.**

ქალაქის გასაცნობად ვიზიტორებისთვის უნდა შეიქმნას მხატვრული (კინო, ლიტერატურული და სხვა), შემოქმედებითი მარშრუტები, რაც გამოყენებული იქნება ბათუმის მიმოხილვითი ექსკურსიისას ტურის ფარგლებში. ზოგადად, სასურველია,

ექსკურსიები დაიწყო საზღვაო ნავსადგურიდან, რომელიც საქართველოს საზღვაო ჭიშკარს წარმოადგენს. გიდი მზად უნდა იყოს, როგორც ქვეითი ტურის, ასევე სატრანსპორტო ტურის ჩასატარებლად.

სატრანსპორტო ტური, როგორც წესი, მოიცავს დიდ არეალს. ორივე ტურის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4-5 საათს. განათლების, ხელოვნების, კულტურის, არქიტექტურის, თეატრის, მუსიკის, მხატვრობის განხილვის დროს **გიდმა უნდა ახსენოს ის საზოგადო თუ ხელოვნების დარგის მოღვაწეები, რომლებიც სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ ბათუმს და დაასახელოს:**

ა) ადგილები (სახლები, სასტუმროები), სადაც ისინი დროებით საცხოვრებლად ჩერდებოდნენ;

ბ) ქართული და უცხოური ფილმები, რომლებიც გადაღებულია ბათუმსა და მის შემოგარენში;

გ) აღნიშნულ ფილმებში მონაწილე მსახიობები და ა. შ.

\* \* \*

ისტორიულად ბათუმის თანამედროვე სახით განვითარება იწყება მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან, როცა ბათუმი გამოცხადდა **პორტო-ფრანკოდ**, რა დროსაც შემოდიან დაიწყო უცხოურმა კაპიტალმა. სწორედ ამ პერიოდში ახლანდელი ე. წ. ძველი ბათუმის ტერიტორიაზე გაიხსნა ინგლისის, საფრანგეთის, შვედეთის, გერმანიის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების საკონსულოები. აღსანიშნავია, რომ ქალაქ ბათუმში შენობების მონახულება, სადაც საკონსულოები იყო განთავსებული, დღესაც შეიძლება. შესაბამისად, ქალაქის საფეხმავლო ტურისტულ მარშრუტში მისი ჩასმა საინტერესო იქნება ვიზიტორთათვის.





მ. აბაშიძის ქ. №8. შენობაში 1923-2010 წლებში  
განთავსებული იყო თურქეთის რესპუბლიკის  
გენერალური საკონსულო



მ. აბაშიძის ქ. №45, ლ. ასათიანის ქ. №17. 1923 წელს ამ შენობაში  
ფუნქციონირებდა იტალიის დიპლომატიური სააგენტო



მაზნიაშვილის ქ. №25,  
ფარნაუზ მეფის ქ. №33.  
1918-1922 წლებში შენობაში  
განთავსებული იყო იტალიის  
დიპლომატიური სააგენტო



მ. აბაშიძის ქ. №27. 1910-1913 წლებში შენობაში განთავსებული  
იყო ესპანეთისა და ნიდერლანდების საკონსულო



რუსთაველის ქ. №7, ბარათაშვილის ქ. №2.  
1913 წელს შენობაში განთავსებული იყო აშშ-ის საკონსულო



დუმბაძის ქ. №5. შენობაში 1902-1913 წლებში განთავსებული იყო  
დანის საკონსულო, ხოლო 1923 წელს – გერმანიის





რუსთაველის ქ. №39, 26 მაისის ქ.№5.  
კასპია-შავეი ზღვის ნავთობსამრეწველო და საფაჭრო საზოგადოების  
(როტმილდის ფირმის) შენობა.  
1902 წელს ფუნქციონირებდა იაპონიის საკონსულო

## 1. პერსპექტიული ტურისტული მარშრუტები ბათუმში

**თამარის დასახლება** ფრიად საინტერესო ლოკაციაა.

ძირითადი მარშრუტი სწორედ აქედან იწყება, რადგან იგი ქალაქის შემოსასვლელია და თან ძალიან ძველი, ისტორიული ადგილია, სადაც მდებარეობს „თამარის ციხე“, რომელიც მე-12 საუკუნის ოქროს ხანისაა და ძლევამოსილი ქალი მეფის – **თამარის** სახელს უკავშირდება. ერთობ საინტერესო ლეგენდა არსებობს აქ ბორცვის წარმოშობის შესახებ, რომლის მოსმენაც დიდ ინტერესს იწვევს ტურისტთა შორის. დასანანი, რომ ეს უნიკალური ძეგლი ამჟამად, ფაქტობრივად, ტურისტებისთვის მიუწვდომელია, რადგან მიუდგომელი და მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურის გამო არ არის შეტანილი ძირითად მარშრუტებში, არადა, აღნიშნული ძეგლი ოქროს ბრჭყვიალა ვარსკვლავია ბათუმის ტურისტულ მარშრუტებში და მისი გამოუყენებლობა დაუშვებელია. აქვეა **ძმები ნობელების ტექნოლოგიური მუზეუმი**. ნობელები ბათუმში მოღვაწეობდნენ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში და უდიდესი წვლილი მიუძღვით ჩვენი ქალაქის ისტორიის გამდიდრებაში, რის გამოც შთამომავლობამ განსაკუთრებული პატივი მიაგო მათ ხსოვნას. მაგრამ რა დააშავეს ლიტერატურის სხვა ცნობილმა მოღვაწეებმა – **მაქსიმ გორკიმ** და **ანტონ ჩეხოვმა**? ვფიქრობთ, აუცილებელი იყო დიმიტრი თავდადებულისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაში გახსნილიყო **ჩეხოვის სახლ-მუზეუმი**, რომელსაც თავისი მნიშვნელო-

ბით მარშრუტებში ექნებოდა უდიდესი ლიტერატურული ტურისტული პოტენციალი. ჩვენი მოსაზრებით, ვერავითარი არქიტექტურული კოპნიაობა და სანახაობითი დაწესებულება ვერ შეცვლის აქ მუზეუმს. ეს კიდევე ერთხელ წარმოაჩენდა და ხაზს გაუსვამდა ჩვენს სტუმართმოყვარეობას და უტყუარ ღია საბუთად გამოდგებოდა ქართული ტოლერანტობის დასამტკიცებლად.

\* \* \*

ზოგადად ტურისტი ჩვენთან ჩამოდის ზღვაზე დასვენებისა და გარუჯვისთვის, თუმცა ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი და მზის სხივებისგან კარგად შეფერადებულ და ზოგჯერ წვიმისგან თავმოებზრებულ ტურისტს სჭირდება სწორედ ისტორიულ წყაროებზე დაფუძნებული ბათუმის ისტორიის გაცნობა, ამიტომ გადავავლოთ თვალი ჩვენი ქალაქის ისტორიას:

ბათუმი მოხსენიებულია ძვ.წ. მე-4 საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსის **არისტოტელეს** წერილებში. ბათუმი, როგორც ქალაქი, უკვე ძვ. წ. აღ. 400 წელს რომ იყო ცნობილი, თავის დროზე **ჟან მურიეც** მიუთითებდა მასზე; ბათუმს იხსენიებს **პლინიუსიც (23-79 წ.წ.) „ბატა“ – „ბატიუმის“** ფორმით. რომაულ საგზაო რუკაზე, ე. წ. **„ტაბულა პევეტინგერია“-ზე (IV ს.)** დაახლოებით თანამედროვე ბათუმის ადგილას დატანილია გეოგრაფიული პუნქტი **„პორტუს ალტუს“**.

სახელწოდება **„ბათუმის“** წარმომავლობის შესახებ არსებობს რამდენიმე აზრი. ერთნი მიიჩნევენ, რომ ტერმინში **„ბათ“** ძირი უკავშირდება ფრინველის სახელს – **ბატი**, მეორენი – სახელს **ბათურა**, მესამენი – **ჭაობიან ადგილს**. ან **„ბათ“** ძირი შეიძლება იყოს სვანური წარმომავლობის, რაც ქვას ნიშნავს.

ასევე არის შეხედულება, რომ **ბათ/ზატა** ადამიანის საკუთარი სახელია, მეგრულად ნიშნავს „**ნაზი**“. ამ გადმოცემის მიხედვით, ქალაქი დაუარსებია ვინმე **ბათუ/ზატას**.

ბათუმის შესახებ ახალი ცნობები ეკუთვნით ვენეციელ დესპანებს – **იოსიფ ბარბაროსა და ამბროზიო კონტარინის**, რომლებმაც ბათუმი 1470-1475 წლებში მოინახულეს. ცოტათი ადრე (1420-1426 წწ.), ბათუმში ყოფილა გერმანელი **იოჰან შილტბერგი**. იგი მოგვითხრობს, რომ ბათუმის მოსახლეობა ქრისტიანული აღმსარებლობის მიმდევარია; აქედან ხომალდები მიცურავენ იტალიისა და ბიზანტიის მიმართულებით.

მდინარე ყოროლისწყლისა და ზღვის შესართავთან ახლოს მდებარე მთა-გორაკზე მდებარე ციხე ითვლებოდა ბათუმის ცენტრად, სადაც ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ. VIII-VII სს-ში ძველი კოლხები სახლობდნენ. ფაქტიურად, ეს დასახლება იყო ყოროლისწყლის ხეობის უძველესი პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი.

ეს ადგილი დღევანდელი თამარის დასახლებაში **თამარის ციხედ** წოდებული გორაა, შემალეებული ადგილი. ლეგენდის ერთი ვერსიის თანახმად, როცა აქ თამარ მეფე შეჩერებულა დასასვენებლად, მის ამაღაში მყოფი სეფექალების მიერ თავიანთი ქოშებიდან ჩამორეცხილ ტალახს წარმოუქმნია პატარა ბორცვი, სადაც შემდგომ თამარ მეფეს ციხესიმაგრე აუშენებია.

მეორე ვერსიის მიხედვით, ციხის აგება თამარ მეფის აჭარას ჩამოპოქანებას უკავშირდება. თითქოსდა, თანხმლებთან ერთად ყოროლისწყლის შესართავთან მდებარე ვაკეზე დაბანაკებული თამარი. გორაკი აქ მისი ოქროს ქოშებიდან ჩამოხორცილი ტალახისგან წარმომდგარა. აქაურებმა ზედ დედამზის საპატივსაცემოდ ციხე აღმართეს და გორასაც და ციხესაც მისი სახელი უწოდეს.

\* \* \*

XVII საუკუნის ბოლოს ბათუმი ოსმალებმა დაიპყრეს. ამ დროიდან აღარ შეინიშნება ქალაქის განაშენიანება, სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, ქუჩების მონაცობა.

1878 წელს ბათუმი დაუბრუნდა დედასამშობლოს და იგი განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. 1881-1884 წლებში ბათუმში მოქმედებდა თავისუფალი ეკონომიკური ზონა – **პორტო-ფრანკო**.

1883 წელს ბათუმში შემოვიდა პირველი ორთქლმავალი.

მწვანე ქალაქის განაშენიანებას ჯერ – **რესლერი**, შემდეგ კი – **რეიერი** და **დალფონსი** შეუდგნენ, დაიწყეს ზღვისპირა პარკის, ბულვარისა და ალექსანდრეს ბაღის განაშენიანებაც.





თამარის ციხე



თამარის ციხე



თამარის ციხე



ნობელის ტექნოლოგიური მუზეუმი






პორტო-ფრანკოსდროინდელი ბათუმის პორტი



პორტო-ფრანკოს პერიოდის ბათუმი



ბათუმის პორტი




ბათუმის პორტი





ზღვისპირა პარკი



პორტო-ფრანკოს პერიოდი



ბათუმის ბულვარი



ბათუმის ბულვარი

## 2. პილიბრიმული ტურისტული მარშრუტები

მარშრუტების დაგეგმარების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისტორიული ეპიზოდების კვლევა-ძიებასა და ვიზიტორებისთვის მათ მიწოდებას. აი, ერთი თვალსაჩინო მაგალითი: ქალაქის ერთ-ერთ სავიზიტო ბარათის – **პიაცას** მოპირდაპირედ, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე, დგას **1867** წელს აშენებული **წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია**; ეს ის დროა, როცა აქ ოსმალები ბატონობდნენ და მართლმადიდებლური ეკლესიის აშენება წარმოუდგენელი იყო. ადგილობრივმა ბერძნებმა ოსმალების იმპერიის სულთანს მიართვეს საჩუქარი, რომელიც იმდენად ძვირფასი იყო, რომ აღფრთოვანებულმა სულთანმა მასთან მყოფი სტუმრების ხელმძღვანელს, იორდან მეტაქსას, ჰკითხა, რითი შეიძლებოდა ამ მადლიერების გამოხატვა. სტუმრები არ დაიბნენ და სულთანს სთხოვეს ბათუმში ეკლესიის აშენების ნებართვა. სულთანი უყოყმანოდ დათანხმდა მათ თხოვნას, ოღონდ იმ პირობით, რომ ზარი არ უნდა დაერეკათ. ასე გადანყდა **1865** წელს ბათუმში აგებულიყო ქრისტიანული ტაძარი, სადაც დღემდე აღევლინება ლოცვა. ახლო წარსულში მას რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და კვლავაც აოცებს მნახველს თავისი სიდიადით.

კულტურის ძეგლებზე საუბრის დროს ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული საკულტო ნაგებობებზე, ესენია:

ა) **მეჩეთები**, რომლებიც ცხოველ ინტერესს იწვევს თურქი და არა მარტო თურქი ეროვნების ტურისტებში, განსაკუთრე-

ბით ყურადსაღებია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აგებული „**ჯამე არაბი**“ ანუ „**ორთაჯამე**“. იგი 1866 წელს ააშენეს ასლან-ბეგ ხიმშიაშვილის დედის შენაწირი თანხით;

„**აზიზიეს ჯამე**“ (სულთან ჯამე), რომელიც სულთან მაჰმუდ II-ის ქართველმა მეუღლემ 1830 წელს ააგო ასკერისთვის, შვილის – აზიზის შეძენასთან დაკავშირებით. დასაწყისში შენობა ხის იყო, შემდეგ კი აქ თვით სულთანმა აზიზმა ააგო (1868 წ.) ქვითკირის მეჩეთი; მდბარეობდა ახლ. გამსახურდიასა და გოგებაშვილის ქუჩების კვეთაში.

აზიზიეს ჯამე მე-20 საუკუნის 30-იან წლებში დაწვეს.

ბ) **კათოლიკური ეკლესია**, რომელიც ააგეს ძმებმა ზუბალა-შვილებმა. სალოცავის აშენებას თავისი მიმზიდველი ისტორია აქვს. ძმები ბაქოში ნავთობის მადანს ეძებდნენ. დედამ ღმერთს შესთხოვა, ოღონდაც იქ მართლაც აღმოჩნდეს ეს პროდუქტი და ჩემი ხარჯით ეკლესიას ავაშენებო. უსმინა უფალმა, ნავთობიც აღმოჩნდა და ეკლესიაც აშენდა, რომელიც 1903 წელს აკურთხა პადრემ, ბარონმა როპპიმ.

გ) **სომხურ-გრიგორიანული ეკლესია „სურბ-პრკიჩი“**, აშენდა 1890 წელს ავსტრიელი არქიტექტორის მარფელდის პროექტით. შემოწირულობა გაიღო მენარმე მანთაშევმა.

გ) ქალაქის ერთ-ერთი მშვენიერებაა **ებრაელთა სალოცავი „სინაგოგა“**, რომელიც აიგო 1904 წელს არქიტექტორ ლევ ვოლკოვიჩის დაპროექტებით.





აზიზიეს მეჩეთი



აზიზიეს მეჩეთი



აზიზიის მეჩეთი



ორთა-ჯამე.  
მეჩეთი ძველ ბათუმში



საკათედრო ტაძარი



ღვთისმშობლის ტაძარი





ღია ბარათი, ბათუმი.  
კათოლიკური ეკლესია



ბათუმის ბულვარი



ღვთისმშობლის ტაძარი





სიონის ეკლესია



სინაგოგა



ხელი მოეღწიდან



### 3. ტურისტული კინოპარპრუტაჟი

ბათუმი ბოლო წლებში კინოფესტივალების ქალაქად იქცა. ამაში დიდი როლი საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალმა – „ბიაფმა“ ითამაშა. ფესტივალში დღემდე 20-ზე მეტმა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა.

ასევე აღსანიშნავია მართლმადიდებლური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი – „წმინდა ანდრეას ჯვარი“, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ტარდება, და კინო და ტელეოპერატორთა საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს თვალი“.

ხაზგასასმელია ისიც, რომ ფესტივალებზე ქალაქს სხვადასხვა დროს უცხოეთიდან სტუმრობდნენ კინოინდუსტრიასთან დაკავშირებული ცნობილი ადამიანები:

ჰირო ნარიტა – ოსკარების აკადემიის ასოციაციის და ამერიკის კინემატოგრაფიული ასოციაციის წევრი.

ფილ ფარმეტი – კვენტინ ტარანტინოს „ოთხი ოთახის“, „გრანდ ჰაუსის“ ოპერატორი და საერთაშორისო კინემატოგრაფიული გილდიის „ლოკალ 600“-ის წევრი.

ჯონათან აბრამსი – „ავატარის“ ერთ-ერთი ოპერატორი და ოპერატორების ასოციაცია – სოკის ოპერატორი.

**ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანების კვალდაკვალ თავისუფლად შესაძლებელია საინტერესო მარშრუტების შექმნა.**



\* \* \*

საბჭოთა ეპოქიდან მოყოლებული ჩვენში იქმნებოდა საინტერესო მულტიპლიკაციური ფილმები; ვინაიდან ამისი გამოცდილება გვქონდა ქართველებს არცთუ ისე შორეულ წარსულში, ჩვენთან დაიწყო ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალების გამართვა, რომელსაც სწორედ ბათუმი მასპინძლობს. ცალკე აღნიშვნის ღირსია, ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“, რომელზედაც 36 ქვეყნის 250 ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. იგი ყოველწლიურად ოქტომბრის თვეში იმართება ჩვენს ქალაქში. ფესტივალი 2007 წელს დაარსდა ანიმაციის განვითარების ფონდის მიერ. ფესტივალის მთავარი მიზანია ანიმაციური ფილმწარმოების განვითარება საქართველოში და შემდეგ მისი ინტეგრაცია მსოფლიო ანიმაციურ სამყაროში. ფონდი მიზნის მისაღწევად ფესტივალის ფარგლებში სხვადასხვა პროექტს ახორციელებს, კერძოდ:

ანიმაციური ფილმების ფესტივალი „თოფუზი“, ტრადიციულად, მთელი წლის განმავლობაში საქართველოს 20-ზე მეტ რეგიონში მოგზაურობს და ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის აწყობს უახლესი ქართული და უცხოური ფილმების ორდღიან კინოჩვენებებს;

ვორქშოპების ციკლი – „ანიმაცია ურთიერთობის მხატვრული ფორმა“ – მთელი წლის განმავლობაში ფონდის პროფესიონალი მხატვარ-ანიმატორები ქვეყნის მასშტაბით ატარებენ საგანმანათლებლო ვორქშოპებს და ბავშვების ჯგუფთან ერთად ქმნიან ანიმაციურ სკეტჩებს, რომლებიც შემდგომ მონაწილეობას იღებენ ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალ

„თოფუზზე“ საკონკურსო კატეგორიაში. თავისუფლად შეიძლება ტურისტული მარშრუტის ქართულ ანიმაციურ ფილმებთან დაკავშირება, ვინაიდან, ძირითადად, მათი დიდი ნაწილი საინტერესო მორალითა და მოტივაციითაა განმსჭვალული, გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის ვიზიტორს ჩვენი ქვეყნის ყოფით და ზნეობრივ ცხოვრებაზე.

\* \* \*

კინოფესტივალები ყოველწლიურად აქტუალური ხდება მთელ მსოფლიოში, ნებისმიერი სახის ფესტივალი და განსაკუთრებით კინოფესტივალები შეიძლება, გახდეს ინსპირაციის წყარო ახალი მარშრუტების შემქმნელთათვის, ეს კი სხვადასხვა ქალაქისთვის და განსაკუთრებით ქალაქ ბათუმისთვის სტუმრების მოზიდვის ერთ-ერთი წყარო იქნება.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ბათუმს მალე ახალი მუზეუმი შეემატება, ეს იქნება ცნობილი კინოსცენარისტის, სულიკო ჟღენტის, სახელობის ბათუმის კინომუზეუმი, რომელიც ხულოს ქუჩაზე, ყოფილი აბანოს შენობაში განთავსდება და თანამედროვე კონცეფციით იგი შემეცნების ფართო სპექტრს წარუდგენს ვიზიტორებს; მუზეუმში წარმოდგენილი მრავალფეროვანი ექსპოზიცია ასახავს ეროვნული და მსოფლიო კინემატოგრაფიის ისტორიას – კინოს დაბადების, განვითარებისა და ევოლუციის გზას, ასევე, თანამედროვე კინოპროცესს და ძირითად ტენდენციებს.

აქცენტი გაკეთდება თემაზე – „ბათუმი კინოში“, შესაბამისად, ექსპონირებული იქნება ის მასალები, რაც უკავშირდება ბათუმში გადაღებულ ქართულ და უცხოურ ფილმებს, გადაღებების ლოკაციებს და ა. შ.

ნიშანდობლივია, რომ კინომუზეუმი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ყოფილი აბანოს შენობაში განთავსდება.

1910 წლისთვის ბათუმში ფუნქციონირება დაიწყო ახალმა აბანომ, რომელსაც „ვენეცია“ ეწოდა; აბანო ყოფილი თათრის (ახლ. ხულოს ქუჩაზე), №14-ში მდებარეობდა. ხოლო იმავე ქუჩის №8-ში კიდევ ერთი აბანო – „ფანტაზია“ ფუნქციონირებდა, „ფანტაზიას“ საერთო ნომერიც ჰქონდა, რომელშიც ბანაობა მოსახლეობის ღარიბ ფენას შეეძლო.

**ტურისტული კინომარშრუტების შექმნისას აუცილებლად უნდა ჩაერთოს აღნიშნული ობიექტები, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ლოკაცია.** შესაბამისად, სრულიად შესაძლებელია, რომ სულ მალე ბათუმს ვიზილავთ, როგორც კინოინდუსტრიისა და კინოფილმების გადაღების პოლიგონს. ვიზიტორებს, რომლებიც კინოინდუსტრიის წარმომადგენლები იქნებიან, უთუოდ გაუჩნდებათ სურვილი ფილმების გადაღებისა, რაც, უდავოდ, გახდება კიდევ ერთი ინსპირაციის წყარო ახალი ტურისტული მარშრუტების შესაქმნელად.

**მაშასადამე, ბათუმის ტურისტული კინომარშრუტები განსაზღვრული იქნება იმისთვის, რომ წარმოვაჩინოთ ფილმები, რომლებიც ბათუმშია გადაღებული.** მარშრუტების ლოკაციებში შევა ის ადგილები, სადაც ფილმები გადაიღეს, რაც, ნამდვილად გამოიწვევს დიდ ინტერესს ბათუმის სტუმართა შორის.

ამ ფილმთაგან არის ისეთი კინოსურათები, რომელთაც საერთაშორისო აღიარება და არაერთი პრიზი მოიპოვეს და არის ისეთებიც, რომელთაც ნაკლებად იცნობს მაყურებელი ან საერთოდ არცა აქვს ნანახი; ბევრი მათგანი თავიანთი შინაარსითა და მაღალმხატვრული დონითაც გამოირჩევა, ბევრს კი – სუ-

ლაც არა აქვს პრეტენზია, იყოს შედეგური, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი და ღირებულია ჯერ თავად ბათუმელებისთვის და შემდგომ იმათთვის, ვისაც უყვარს ბათუმი და ბათუმელები იმ თვალსაზრისით, რომ ეს ფილმები, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც ამ ქალაქშია გადაღებული და ზოგიერთი ის უბანი ან სახლი, სადაც ამა თუ იმ ეპიზოდის გადაღება მიმდინარეობდა, დღეს უკვე აღარ არსებობს ან სრულიად სახეშეცვლილია.

გთავაზობთ ჩამონათვალს ფილმებისა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ტურისტული კინომარშრუტების შექმნა:

1. „მონანიება“ (1986 წ., რეჟ. თენგიზ აბულაძე).

ფილმის ერთ-ერთი ეპიზოდი იმ სახლის აივანზეა გადაღებული, რომელიც რ. კომახიძისა და ზ. გამსახურდიას ქუჩების კვეთაში მდებარეობს, ყოფილი რესტორანი „გემოს“ გვერდით, რომელიც ბათუმელების ერთ-ერთი საყვარელი ადგილი იყო. ამ სამსართულიანი, უჩვეულო არქიტექტურის სახლის აივანზეა გადაღებული ეპიზოდი, რომელშიც ავთანდილ მახარაძის გმირი – ვარლამ არავიძე სიტყვით გამოდის.

1. „არაჩვეულებრივი გამოფენა“ (1968 წ., რეჟ. ელდარ შენგელაია) იმავე სახლის აივანზეა გადაღებული ეპიზოდი, რომელშიც დოდო აბაშიძის გმირი – მსახიობი შავლეგი დილით ვარჯიშობს და აივნიდან ესაუბრება თავის მეგობარს, აგული ერისთავს.

ამავე სახლის მიმდებარე ტერიტორიაზეა გადაღებული მცირე ეპიზოდები ფილმში „მოცურავე“ (1981 წ., რეჟისორი ირაკლი კვირიკაძე) და ცნობილ კომედიაში „12 სკამი“ (1971 წ., რეჟისორი ლეონიდ გაიდაი); (ამ უკანსკნელის სხვა პატარა ეპიზოდები მწვანე კონცხსა და ადლიაში ზღვის სანაპიროზეცაა გადაღებული).

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეს სახლი და მისი მიმდებარე ტერიტორია კინომატოგრაფიისთვის ისტორიული ძეგლია. შესაბამისად, ტურისტებისთვის ამ ძეგლის გაცნობა და შემდგომ რომელიმე ლოკაციაზე ფილმის ფრაგმენტების ჩვენება (თუ ისინი არ იცნობენ ფილმს) ფრიად საინტერესო იქნება.

ასევე ბათუმის სხვადასხვა ლოკაციაზე გადაღებულია „მონანიების“ სხვა ეპიზოდებიც, მაგ.: წყლით სავსე სარდაფებში დევნის სცენა; მორების ძეხნის ეპიზოდი – მაშინდელი გორკის ქუჩის ბოლოში მდებარე სამშენებლო საწყობშია გადაღებული.

ყველაზე დიდხანს გადამღებმა ჯგუფმა კიროვის (ახლ. 26 მაისის) ქუჩის დასაწყისში, კვლევითი ინსტიტუტის ქათქათა შენობაში დაიდო ბინა.

რამდენიმე ეპიზოდი გადაღებულია კათოლიკურ ეკლესიაში (დღევანდელი ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარი), სადაც ნამდვილად იყო დამონტაჟებული მაღალი ძაბვის ელექტროგენერატორები. კადრში კარგად ჩანს დაზიანებული ფრესკები.

ერთ-ერთი ბოლო ეპიზოდი გადაღებულია ქალაქის საავადმყოფოს ეზოში (დღევანდელი აჭარის ა. რ. უმაღლესი საბჭოს შენობა) – ბაბუისა (ავთანდილ მახარაძე) და შვილიშვილის (მერაბ ნინიძე) შეხვედრის სცენა.

2. „მანანა“ (1958 წ., რეჟ.: ზაქარია გუდავაძე, შალვა მარტაშვილი)

რამდენიმე სცენა გადაღებულია ახლანდელი 26 მაისის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის პარკში, რომელსაც ძველი ბათუმელები დღემდე პიონერთა პარკს უწოდებენ, თუმცა მანამდე მას ალექსანდრეს ბაღი ერქვა. 1888 წლის 25 აგვისტოს ბათუმში ჩამოსულა იმპერატორი **ალექსანდრე III** ოჯახით. მას,

სამეფო ოჯახის წევრებსა და თანმხლებ პირებს ამ პარკში დაურგავთ ხეები, რის გამოც მადლიერმა ბათუმელებმა პარკს **ალექსანდრეს** ბაღი შეარქვეს. ბათუმელი გიდები ხშირად უყვებიან ამ ისტორიის შესახებ ტურისტებს, რაც დიდ ინტერესს იწვევს, თუ ამ ისტორიას დაემატება ისიც, რომ კინოფილმი „მანანას“ ეპიზოდები სწორედ აქ არის გადაღებული, ტურისტთა კმაყოფილება გარდაუვალი იქნება,

ხსენებული ფილმის მოზრდილი ეპიზოდი გადაღებულია სწორედ ამ პარკის შესასვლელში, ცნობილ კოლონადებთან, რომლებიც ქალაქის ერთგვარ სიმბოლოდაც კი შეიძლება, ჩაითვალოს სასტუმრო „ინტურისტის“ წინ ძველი ბულვარის შესასვლელში მდებარე ცნობილი კოლონადების შემდეგ...<sup>2</sup>

ეს პარკი ნებისმიერი ბათუმელის საყვარელი ადგილია, სადაც ტურისტთათვისაც მიმზიდველი ინფრასტრუქტურაა მოწყობილი, პარკი ხომ ნურიგელის ტბის გარშემოა გაშენებული, რომელზედაც ნავით გასეირნებაცაა შესაძლებელი.

**3. „მსურველებს შეუძლიათ, ჩაენერონ“ (1973 წ., რეჟ. ალექსანდრე (ალეკო) ნინუა).**

ფილმმა 1973 წელს მოიპოვა სპორტკომიტეტის საპატიო დიპლომი. ფილმის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაღებულია ჩვენს ქალაქში. მასში მონაწილეობენ ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობები – ნინიკო საკანდელიძე, მანუჩარ შერვაშიძე და ბათუმელი დრამატურგი ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძე.

ფილმის პირველივე ეპიზოდები გადაღებულია ობელისკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ჩანს ზღვის სანაპირო, ოთხსართულიანი უნივერსალი, რომლის ბოლო სართულზე მდებარე რესტორანს „კოსმოსს“ უწოდებდნენ, საიდანაც იშლებოდა სანაპიროს მშვენიერი ხედები. დღეს ეს შენობა აღარ არსებობს.

4. „კაპიტნები“ (1974 წ., რეჟ. თამაზ გომელაური).

მონაწილეობენ: ვასილ ჩხაიძე, ჯემალ ლალანძე, ბორის ნი-  
ფურია, იური ოგანეზოვი, გია იაშვილი, გრიგოლ ნიტაიშვილი,  
ბაადურ ნულაძე, და ბათუმელები – მანუჩარ შერვაშიძე, როლა-  
ნდ კაკაურიძე, სერგო კუნჭულია.

5. „მე მოვედი“ (1981 წ., რეჟ. ალექსანდრე (ალეკო) ნინუა)

მონაწილეობენ: ვლადიმერ (ლადო) ბურდული, ბადრი ბეგა-  
ლიშვილი, იაკობ ტრიპოლსკი, ნანა ფაჩუაშვილი, და ბათუმე-  
ლები – იური ცანავა, ვაჟა ბჟალავა, მანუჩარ შერვაშიძე, აკაკი  
მგელაძე.

6. „ერთ პატარა ქალაქში“ (1985 წ., რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე).

ფილმის სცენარის ავტორია ბათუმელი დრამატურგი ალექ-  
სანდრე (შოშია) ჩხაიძე.

ჩვენს ქალაქშია გადაღებული, ასევე, ეპიზოდები ფილმები-  
დან:

„შუქურას საიდუმლოება“ (1925 წ., მუნჯი, რეჟ. ვლადიმერ  
ბარსკი);

„ახალგაზრდობა იმარჯვებს“ (1928 წ. მუნჯი, რეჟ. მიხეილ  
გელოვანი);

„ორი ოკეანის საიდუმლოება“ (1956 წ., რეჟ. კონსტანტინე  
პიპინაშვილი);

„ზვიგენის კბილი“ (1959 წ., რეჟ. შალვა გედევანიშვილი);

„ზღვის შვილები“ (1964 წ., რეჟ. კონსტანტინე პიპინაშვილი);

„ფეოლა“ (1970 წ., რეჟ. ბაადურ ნულაძე);

„გზა მშვიდობისა, ჯაყო“ (1973 წ., რეჟ. მერაბ კოკოჩაშვილი);

„კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის“ (1981 წ., რეჟ.  
ბაადურ ნულაძე);

„ფესვები“ (1987 წ., რეჟ. ყარამან (გუგული) მგელაძე);

„რუსეთის თეთრი თოვლი“ (1980 წ., რეჟ.: იური ვიშინსკი, ალექსანდრე კოტოვი);

„უდიპლომო სასიძო“ (1961 წ., რეჟ. ლევან ხოტივარი)  
და სხვა.

\* \* \*

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფილმის გადაღების პროცესის უკან დგას რეჟისორი, ოპერატორი, მხატვარი და კიდევ ბევრი სხვა ადამიანი, ანუ ე. წ. – ტექნიკურ-შემოქმედებითი ჯგუფი, ამდენად, მათთვის და მათი ახლობლებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების კვლავ მონახულება, დათვალიერება და გაცნობა.

თუ ბათუმს ცნობილი რეჟისორები, ოპერატორები და სხვა პერსონალები ეწვევიან, მათ კვალდაკვალ შესაძლებელია ახალი კინომარშრუტების შექმნა, შესაბამისად, ტურისტულ კინომარშრუტებს დიდი მომავალი ექნება.





აბანო ხულოს ქუჩაზე. ძველი ბათუმი. ხულოს ქუჩა №3



ქალაქ ბათუმის პოლიკლინიკა



კადრი კინოფილმიდან „არაჩვეულებრივი გამოფენა“



კადრი კინოფილმიდან „მანანა“





კადრი კინოფილმიდან „ფესვები“



კადრი კინოფილმიდან „ზღვის მეგელო“



კადრი კინოფილმიდან „მონანიება“





კადრები კინოფილმიდან „12 სკამი“

#### **4. ქალაქ ბათუმის საინტერესო და ნაკლებად ცნობილი ლოკაციები**

ქალაქს სანახაობრივი თვალსაზრისით ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს **ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი**, აგრეთვე, **ბათუმის არქეოლოგიისა და ხელოვნების მუზეუმები**. ამ უკანასკნელის სკვერში, ე. წ. „ხოხოს ბაღში“, წლების მანძილზე იკრიბებოდა ბათუმის ინტელიგენცია, მისი სტუმრები. აქ აღმართული იყო ტყუპი ქაფურის ხე, რომლებიც საოცარ მიკროკლიმატს ქმნიდნენ. სამწუხაროდ, დღეს ხელოვნების მუზეუმს და მის უნიკალურ „ხოხოს ბაღს“ პირვანდელი სახე დაკარგული აქვს. აქ ჩაიხუნძლა და სივრცეს მძიმე ტვირთად დაანვა არქიტექტურული დანამატები.

თვალსაწიერიდან არ უნდა გამოგვრჩეს:

ა) ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის დრამატული თეატრი, რომლის შენობა 1951 წელს აშენდა არქიტექტორ **ტეპლიცკის** პროექტით; მას ახლახან ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი.

ბ) საზაფხულო თეატრი, რომელიც დააპროექტეს არქიტექტორებმა – **კახა ჯავახიშვილმა** და **ბოგდან კირაკოსიანმა**, აშენდა 1949 წელს; 1997 წელს დაიწვა, მაგრამ ისეთივე იერსახის ნაგებობა კვლავ აშენდა იმავე ადგილას.

გ) საქართველოს საზღვაო ადმინისტრაციის ორსართულიანი შენობა ნინოშვილისა და 26 მაისის ქუჩების კვეთაში, აშენებული 1884 წელს რუსი მილიონერი ბანკირის – **მიტროფანე სელიტრენიკოვის** ქვრივის ხელშეწყობით; შენობაში ერთხანს განთავსე-

ბული იყო აშშ-ისა და გერმანიის საკონსულოები, მოგვიანებით მასში სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა დაიდო ბინა.

დ) ქალაქის შემოსასვლელში განთავსებული საზღვაო ნავ-სადგური. რომლის ისტორია XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება.

ე) ნავსადგურის წინ მდგარი სულიწმინდის მოფენის კათო-ლიკური ეკლესია.

\* \* \*

გიდმა ვიზიტორთ აუცილებლად უნდა მიაწოდოს ინფორმა-ცია, რომ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში დაკრძალულნი არიან 1918 წლის 20-23 მარტს ბათუმის ბრძოლებში დაღუპული ქარ-თველები, რომლებიც იბრძოდნენ გენერალ მაზნიაშვილის ხელ-მძღვანელობით და ბათუმი გაათავისუფლეს ოკუპანტებისგან.

ბათუმის ტურისტული მარშრუტების განხილვის დროს ვი-ზიტორებმა ასევე უნდა მიიღონ სათანადო ინფორმაციები დელფინარიუმის, აკვარიუმის, ქ. ბათუმის მერიის შენობის, 1-ლი საშუალო სკოლის, ლიტერატურის კორიფეების: ილია ჭა-ვჭავაძის, აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილის და სხვათა შესახებ. მარშრუტებში აღწერილი უნდა იქნას ის ადგილებიც, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები: ი. სტალინი, გ. ყაზბეგი, ი. მესხი, გ. ვოლსკი, ლ. ასათიანი, ი. ანდრონიკაშვილი და ა. შ.

ამრიგად, აუცილებელია, ბათუმი სხვადასხვა მიმართულებ-ით წარმოჩნდეს შესაბამის ტურისტულ მარშრუტებში და სრუ-ლყოფილი სახით გაეცნოს ქალაქის ვიზიტორებსა და სტუმრ-ებს. აღნიშნული თემა მრავალმხრივია და მასზე მუშაობის გა-გრძელება კიდევ უფრო გაზრდის ინტერესს ქალაქისადმი.



ილია ჭავჭავაძე



ალექსანდრე ყაზბეგი



აკაკი წერეთელი



დავით კლდიაშვილი



სერგეი მესხი



ლადო ასათიანი



ძველი ბათუმი. სომხური ეკლესია ლენინის ქუჩაზე





ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი



ქმები ნობელების ტექნოლოგიური მუზეუმი





ხარიტონ ახვლედიანის  
სახელობის მუზეუმი



ხელოვნების მუზეუმი

## 5. აჭარა და უცხოელები

საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული ბედი, მართლაც, გამორჩეულია. ქართული ცივილიზაციის ეს მძლავრი კერა, ისტორიული ბედის უკუღმართობის გამოისობით მოსწყვეტეს ერთიან ქართულ ორგანიზმს და სხვა სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად აქციეს, მაგრამ მის მკვიდრთ ვერ დაავიწყეს მშობლიური ენა და მისდამი პატივისცემა. რუსეთ-ოსმალეთს შორის წარმოებული ომის (1877-1878 წ.წ.) შედეგად, იგი კვლავ დაუბრუნდა დედამამშობლოს, მაგრამ ამჯერად რუსეთის იმპერიის კავკასიური ადმინისტრაცია ყოველმხრივ აფერხებდა მის განვითარებას და ცდილობდა, ეს მხარე დაეპირისპირებინა დანარჩენი საქართველოსთვის. რუსეთის სახელმწიფოს მესვეურთა აზრით, იგი უნდა გადაქცეულიყო ახლო აღმოსავლეთში რუსული ექსპანსიის მნიშვნელოვან სამხედრო ფორპოსტად და იმპერიის შორსგამიზნული გეგმების განხორციელების პლაცდარმად.

საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს ამ რეგიონით უცხოელებიც დაინტერესდნენ. ისინი ამ მხარეს არაერთხელ ეწვივნენ და დაგვიტოვეს საყურადღებო მასალები იმდროინდელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების შესახებ. ეს ჩანაწერები ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის შესწავლის საქმეში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ

საჭიროდ მივიჩნიეთ, აქვე წარმოგვედგინა მკითხველისთვის, შესაბამისად, დაინტერესებულ პირთათვის. ძირითადი მასალა მოძიებულია რუსეთის სახელმწიფო არქივებში ხანგრძლივი მუშაობის შედეგად. დოკუმენტების ნაწილი გადმოგვცეს თურქეთის სახელმწიფო არქივებში მომუშავე მეცნიერებმა, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვასხენებთ. ასევე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის ცალკეული პირები, რომელთა საოჯახო არქივებში ამ საკითხთან დაკავშირებით დოკუმენტები ინახება. ეს მასალები პირველად ქვეყნდება და ვფიქრობთ, იგი საინტერესო უნდა იყოს, როგორც სპეციალისტებისთვის, ასევე მკითხველთა ფართო წრისთვის.

**ნაშრომში მოცემულია უცხოელთა შეხედულებები ბათუმისა და მისი ოლქის შესახებ არა მარტო იმ პერიოდიდან, როდესაც იგი იყო რუსეთის შემადგენლობაში, არამედ გადმოცემულია ფაქტები იმ დროიდან, როდესაც ქალაქი ჯერ კიდევ იმყოფებოდა ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში. 1914-1921 წ.წ. შესახებ ძალიან ბევრი ჩანაწერი არსებობს, რადგან ამ დროს საქართველოს ბევრი უცხოელი სტუმრობდა, ამიტომ მათი თვალთ დასახული პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ცხოვრება ძალიან საინტერესოა წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისითაც.**

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის მასალები, რომლებიც აღწერენ ბათუმისა და მისი შემოგარენის ცხოვრებას იმ დროს, როდესაც ქალაქი ოსმალეთის გამგებლობაში იყო. ამდროინდელი მასალები ძალიან მცირეა და ვფიქრობთ, იგი საზოგადოებისათვის საინტერესო იქნება.

## 6. ინგლისელები ბათუმის შესახებ

ძალიან მნიშვნელოვანია 1804 წლის საარქივო დოკუმენტი. იგი ეხება ინგლისელი საქმოსნის **მარტინ ბოლის** ყოფნას ბათუმში. მარტინ ბოლი ბათუმში იმყოფებოდა 1804 წლის აგვისტოს თვეში და საუბრობს იმდროინდელი ბათუმის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ბოლი ბათუმში თავისი საქმეებისათვის სტამბულისგან ჩამოვიდა. იგი ქალაქში სამ თვეს გაჩერებულა და დაავადებულს დაუტოვებია აქაურობა. ბოლი აღნიშნავს, რომ ბათუმში ძალიან ბინძური და უწესრიგო ქალაქია, თუმცა ქალაქი მას არ ეთქმის, სულ სამი ქუჩაა და თითოეული ქუჩის ბოლოს სასაფლაოა. ეს სასაფლაოები იმდენად მოუვლელია, რომ სიცხეში იქაურობა ყარს. „ბათუმის ჰავა აუტანელია, – წერს ინგლისელი, – ქალაქში მუდმივად არავინ ჩერდება. ვინც ჩადის, მალე ტოვებს ბათუმს. მეც შემეყარა ავადმყოფობა და იძულებული ვარ, დავტოვო ეს ქალაქი“. როდესაც მოსახლეობაზე საუბრობს, აღნიშნავს, რომ ქალაქში, ძირითადად, თურქულად საუბრობენ, მაგრამ გაიგონებთ ბერძნულსაც და ალაგ-ალაგ ლაზურსაც. ქალაქში არ არის არც ერთი საზოგადოებრივი დაწესებულება. თუ არ ჩავთვლით ორ ყავახანას, სადაც თავს იყრის ქალაქის ყველა მცხოვრები. ბათუმის პორტი მოუწესრიგებელია და ამის გამო გემები არ შემოდის. ჩემი იქ ყოფნის განმავლობაში სულ ორი თურქული გემი შემოვიდა და ისიც სწრაფად უკან გაბრუნდა...“ – ასეთია ინგლისელის შეხედულება 1804 წლის ბათუმზე.

ბათუმში ქართველების დიდი რაოდენობით არსებობაზე საუბრობს 1837 წელს ბათუმსა და ტრაპზონში მყოფი **ინგლისელი ოფიცერი დუგლას სტივენსი**. აღსანიშნავია ის, რომ სტივენსი და მისი თანმხლები, კიდევ ერთი ინგლისელი მარტინ ჰოვარდი ბათუმში ჩამოსულა ოზურგეთიდან. ისინი ნამყოფი იყვნენ თბილისში, ქუთაისსა და ზუგდიდში. ინგლისელები მცირედ, მაგრამ მაინც საინტერესო ცნობებს გვანვდიან ამ ქალაქზე. ოზურგეთის შესახებ ინგლისელი აღნიშნავს, რომ ამ ადგილას ის მხოლოდ სამი დღე გაჩერდა. მისი აზრით, ოზურგეთს ქალაქი არ ეთქმის. სულ ერთი ქუჩაა და სამი შედარებით კარგად მოწყობილი სახლი, რომელთაგანაც ერთი ოზურგეთის ხელმძღვანელს ეკუთვნის. ოზურგეთის აღმოსავლეთ მხარეს არის დიდი მიწდორი, სადაც შაბათსა და კვირას იმართება დიდი ბაზრობა, ირევა უამრავი ხალხი, ვაჭრობენ ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ნაწარმით, განსაკუთრებით ბევრი მუშტარი ჰყავს მსხვილფეხა საქონელს, რომელიც დიდი რაოდენობით ჩამოჰყავთ გლეხებს. ავტორი აღნიშნავს: „მე სწორედ იმ დროს მომიწია ოზურგეთში ყოფნა, როდესაც ასეთი ბაზრობა გაიმართა, ვაჭრებს შორის ოსმალებიც იყვნენ, რომლებიც ფარჩეულობას, ქიშმიშსა და ფინიკს ჰყიდდნენ. როგორც გავიგე, ჩხუბი არცთუ ისე იშვიათად იმართება მოვაჭრეებს შორის, სამწუხაროდ, არ მომეცა ამ მხარის უკეთ გაცნობის საშუალება, რადგანაც ძალიან მალე მომიწია მისი დატოვება“.

ზუსტად ამავე დროს (1841 წ.) ბათუმში იმყოფებოდა ინგლისელი მოგზაური **მ. გვარაჩინი**. იგი აღწერს რა ბათუმის მოსახლეობას, ამბობს, რომ ბათუმის ქართული მოსახლეობა მისდევდა ჭოროხზე ნაოსნობას. ისიც საუბრობს ბათუმში გამართულ

ბაზრობაზე, მოვაჭრეებზე, ბათუმში მიმდინარე მშენებლობებზე, ბათუმის პორტის ღირსებებზე და სხვა.

1877 წლის ბათუმის შესახებ საუბრობს **ინგლისელი ოფიცერი გრეგორი გრინი**. იგი აღნიშნავს, რომ „ბათუმი გადაქცეულა ერთ დიდ საომარ ბასტიონად. აქ ყველაფერი ფრონტს ექვემდებარება. ყველა ქუჩაზე ჯარის ნაწილები დგანან. ქალაქი საომარ მდგომარეობაშია. აკეთებენ თხრილებს, რაშიც მთელი მოსახლეობა მონაწილეობს. ზღვაში გაიზარდა სამხედრო ხომალდების რაოდენობა. ბათუმის სიმაგრეებზე განლაგებულია ზარბაზნები. ოსმალებმა იციან, რომ მტერი ბათუმის მიმართულებით დიდძალ ძალებს უყრის თავს და ამიტომ ასე თავგამოდებით ამაგრებენ ქალაქს. ჯარის სარდლობასთან ხშირად დადის **ინგლისელი კონსული პალგრევი** სათათბიროდ. ინგლისი ოსმალეთის მხარეზეა. ქალაქში საკმაოდაა ინგლისელი ოფიცერი და ინსტრუქტორი. ბათუმის აღმოსავლეთით მდგომ ჯარის ნაწილის ინსტრუქტორად ჩემთან ერთად კიდევ 4 ინგლისელი მუშაობს. მე ახალი მოსული ვარ, ხოლო დანარჩენებს საკმაო გამოცდილება გააჩნიათ. აქედან ერთი **მაიკლ ბარტონი** ინდოეთში მუშაობდა“. შემდეგ გრინი ბათუმზეც საუბრობს და აღნიშნავს: “ბათუმის პორტი მუშაობს სამხედრო ყაიდაზე. პორტში სამხედრო ხომალდები დგანან. იქ თავმოყრილია დიდი რაოდენობით ჯარის ნაწილი. ნაკლებად შემოდის სამგზავრო ხომალდი. ძირითადად ასეთი ხომალდი სტამბოლიდან მოდის და სურსათთან ერთად დიდი რაოდენობით იარაღი და მძიმე ტექნიკა შემოაქვს. მიმდინარე წლის თებერვალში ბათუმში შემოვიდა ოსმალური ხომალდი, რომელმაც ქალაქის მოსახლეობისათვის დიდი რაოდენობით შემოიტანა სურსათ-სანოვაგე. ასევე, მე მომსწრე ვიყავი იმისა, თუ როგორ ტვირთავდნენ



ჯარისკაცები გემიდან საბრძოლო იარაღს... ბათუმი პატარა ქალაქია, უსწორმასწორო ქუჩებით. ქალაქის საზღვრები მთავრდება ტბასთან, რომელსაც აქაურები „ნურიე გიოლს“ (ნურიოს ტბა) ნურიგელის ტბას ეძახიან. მაგრამ ეს ადგილები არ არის დასახლებული. თანაც, ეს მიდამოები გადაქცეულია ყაჩაღთა თავშესაფრად და ყველა უფრთხის იქ გავლას.

ბათუმი, ფაქტობრივად, დასახლებულია ნავსადგურის ზღვისპირა ზოლიდან მოყოლებული, ვიდრე დასავლეთის მიმართულებით. უკანასკნელი სახლიდან თვალუწვდენელ ტერიტორიაზე გადაჭიმულია გაუვალი ჭაობები და ხშირი ტყეები, სადაც გარეული ცხოველები ბინადრობს. ხშირად ასეთი ცხოველები შემოდის ქალაქის ტერიტორიაზე და პანიკაში აგდებს მოსახლეობას. ასევე, მძარცველები ასეთ ტყეებში პოულობენ თავშესაფარს და ჟანდარმებსაც ეშინიათ შიგ შესვლა. მაგ. შარშან (1876 წ) ყაჩაღებმა გაძარცვეს ნავსადგურთან მდებარე ორი დიდი მაღაზია, ერთ-ერთი მაღაზიის მეპატრონე წინააღმდეგობის განევის გამო დაჭრეს, მათ გამოედევნა ჟანდარმები, ყაჩაღებმა მოასწრეს ტყეში მიმალვა, შიშით ჟანდარმებმა ვერ გაბედეს შიგ შესვლა. როგორც შევითვქვე, ასეთი შემთხვევები საკმაო ყოფილა. ყაჩაღები ყველა ეროვნების ადამიანები არიან, ოსმალები, აქაური აჭარლები, ჩერქეზები და აფხაზები. არის ასევე შერეული ჯგუფებიც. მაგ. ბათუმს დიდი ხნის განმავლობაში თავზარს სცემდა ყაჩაღთა რაზმი ვინმე მუსტაფას მეთაურობით. ამ რაზმში ყველა ეროვნების ადამიანი იყო გაერთიანებული. დიდი წვლებით მოხერხდა ამ რაზმის ლიკვიდირება, თუმცა ზოგიერთმა წევრმა შეძლო ტრაბზონის მხარეში გაღწევა. ამ რაზმის ორი წევრი ყოფილა მეზობელი რუსეთის შემადგენლობაში მყოფი საქართველოს მცხოვრები. ყაჩაღო-

ბის მიზნით ისინიც ხშირად გადმოდიან ბათუმის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ჩურუქ-სუს (ქობულეთი) ატერორებდნენ ადგილობრივ ყაჩაღებთან ერთად“... შემდეგ გრინი აღნიშნავს, რომ ქალაქის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს ყურე და მისი მიმდებარე ტერიტორია, რომელიც ძირითადად დასახლებულია ვაჭრებით და შეძლებული ადამიანებით. „ბათუმი იყოფა უზნებად, რომელთაც თავისი მკვეთრად გამოყოფილი საზღვრები გააჩნია (იგი არ ასახელებს, რომელია ეს უზნები – ავტ.), ბათუმში მდებარეობს დიდი ბაზარი, სადაც იმართებოდა ერთ-ერთი ცნობილი ბაზრობა, თუმცა, როგორც გავიგე, ასეთი ბაზრობა დიდი ხანია, არ გამართულა. ბათუმში ქუჩებს, ძირითადად, ოსმალური სახელები ჰქვია. ქალაქში არის 800-ზე მეტი სახლი, აქედან მოწესრიგებული მხოლოდ 80-მდე იქნება. ასეთი შედარებით კეთილმოწყობილი სახლები, ძირითადად, განლაგებულია ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე. სწორედ ასეთ სახლებზე მიჰქონდათ იერიში ყაჩაღებს და როგორც მითხრეს, ძირითადი ნაწილი მათ მიერ გაიძარცვა. შეძლებული მცხოვრებლები ამის გამო იძულებული იყვნენ, შეიარაღებული დაცვა დაექირავებინათ. ბათუმის მმართველის, რომელსაც აქ მუთესარიფს ეძახიან, სახლსაც იცავენ შეიარაღებული რაზმები. იმასაც ხშირად ატერორებდნენ მძარცველები“... გრინი აღნიშნავს, რომ „ბათუმში ერთნაირი სახლებია, ძირითადად ხის, ორსართულიანი, მეორე სართულზე ასვლა შეიძლება ქუჩიდან კიბის მეშვეობით. ერთ-ერთ ასეთ სახლში მეც ვიმყოფებოდი. მასპინძელმა, რომელსაც ხასანი ერქვა, მიმიპატიჟა და ჩაითა და ტკბილეულით გამიმასპინძლდა. ქალაქში ქართველებსაც აქვთ სახლები, ისინი ცალკე არიან დასახლებული... ბევრ მოსახლეს მეორე სართულზე გახსნილი აქვს სასტუმრო. სახლი შედ-

გება რამდენიმე ოთახისაგან, სადაც ცალ-ცალკე ცხოვრობენ ოჯახის უფროსი და სხვა წევრები. არის ოთახი სპეციალურად სტუმრისთვის, არის სათავსო და ზოგ სახლში არსებობს ოჯახის წევრების ერთად თავმოყრისთვის ოთახები, სადაც ისინი სადილობენ, საუბრობენ და ა. შ“.

საინტერესოა **გრინის ცნობა ბათუმის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ**, იგი ამბობს, რომ ბათუმს ჰყავს მმართველი, რომელსაც მუთესარიფი ერქვა, ქალაქში იყო წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც მეჯლისის სახელს ატარებდა, ეს ორგანო განლაგებული იყო იმავე შენობაში, რომელშიც მუთესარიფი იჯდა. ქალაქში იყო სასამართლო და იგი მოთავსებული იყო ცალკე შენობაში, იყო, აგრეთვე, ბათუმის ბატალიონის შტაბსადგომი, ბათუმის საბაჟოს სამმართველო. ბათუმში, ცალკე შენობაში, იჯდა სასულიერო საქმეთა მეთაური, რომელსაც აქაურები მუფტის ეძახიან“... „...ქალაქში არსებობს სამი მეჩეთი, სადაც მიმდინარეობს მუსლიმანური ლოცვა, როდესაც მიმდინარე წლის (1877) აპრილში ქალაქში ჯარის კიდეც ერთი ნაწილი შემოვიდა, ყველა მეჩეთში ამის აღსანიშნავად ჩატარდა დიდი ლოცვა და ყველა მორწმუნე სიხარულით შეხვდა ამ ამბავს...”

გრინი კონკრეტულად საუბრობს ბათუმში არსებულ ბერძნულ-მართლმადიდებლურ და სომხურ-კათოლიკურ ეკლესიებზე. იგი თითოეულ მათგანში ნამყოფია. განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ბერძნული ეკლესიები შესანიშნავ ნაგებობას წარმოადგენენ, ხოლო სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიას აქვს კეთილმოწყობილი სასტუმრო. მაგრამ ოსმალები ავიწროებენ ამ ეკლესიას, მე შევხვედრივარ ასეთ ფაქტს, რომ ოსმალო ჯარისკა-



ძველი ბათუმი. ქუთაისის ქუჩა.  
1938 წ.



ძველი სახლი ბათუმში.  
კამოს ქუჩაზე.  
1938 წ.



1880 წელს აშენებული სახლი  
ბათუმში, ქუთაისის ქუჩაზე  
(1938 წ.)



1870-80 წლებში შენებული საცხოვრებელი სახლი ბათუმში (1938 წ.)





ნურიგელის ტბა



ძველი ბათუმი

ცები არ აძლევდნენ ბერძნებს ეკლესიაში შესვლის უფლებას, ასე ეპყრობიან სომხებსაც, ისინი ბათუმელ ხელისუფლებას რუსების აგენტად მიაჩნდათ და ყველანაირად ავიწროებდნენ მათ. იყო მათი ხშირი მკვლელობის შემთხვევები, როგორც მითხრეს, მარტო შარშან (1876) და მიმდინარე წლის (1877) პირველ ორ თვეში ოსმალებმა და სხვა მაჰმადიანებმა სიცოცხლეს გამოასალმეს 10 სომეხი და 6 ბერძენი. იყო ასეთი შემთხვევაც: შარშან ოსმალო ყაჩაღებმა აიკლეს მდიდარი ბერძნებისა და სომხების სახლები, გაძარცვეს, სახლის ნევრები დაჭრეს, ასევე გაიტაცეს სომხის ორი გოგო და გააუპატიურეს. აღშფოთებული მოსახლეობა მივიდა მუთესარიფთან და მოსთხოვა მას წესრიგის დამყარება, მაგრამ მუთესარიფმა თავი შორს დაიჭირა და თქვა, რომ თვით მათ უნდა გაეწიათ წინააღმდეგობა და შეეშინებინათ მძარცველები. როდესაც დაინახეს, რომ მუსლიმანი ხელისუფლება მათ არ იცავდა, მაშინ გადანწყიტეს თვითონვე შეიარაღებულიყვნენ და საკადრისად შეწინააღმდეგებოდნენ მომხდურებს. თუმცა ყაჩაღები არც მუსლიმანებს ინდობდნენ და მათაც აწიოკებდნენ“... გრინი აღნიშნავს, რომ მის დროს ქალაქში იყო ორი სკოლა, თურქული, რომელსაც სტამბოლის ხელისუფლება აფინანსებდა და – ბერძნული, რომელიც კეთილმოწყობილ შენობაში იყო მოთავსებული, მაგრამ ამ დროს (1877) იქ სწავლა რატომღაც შეწყვეტილი იყო.

აი, ასეთია გრინის ჩანაწერები ბათუმის შესახებ. ჩვენი აზრით, უაღრესად საყურადღებოა და იმდროინდელი ბათუმის ისტორიის შესწავლისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. **ამიტომაც როცა გიდი უყვება ტურისტს ბათუმის შესახებ, თავისუფლად შეუძლია მოუყვეს იმჟამინდელი ბათუმის ადმინისტრაციულ მოწყობასა და ყოფის ისტორია. ასევე პარალე-**



ბერძნების ეკლესია



სომხური ეკლესია

**ლურად შეუძლია, შეიტანოს მარშრუტში რესტორანი აჭარული სახლის ეზო, სადაც წარმოდგენილია აჭარის რეგიონისთვის დამახასიათებელი სახლების მაკეტები.**

1894 წელს ბათუმში მცირე ხნით იმყოფებოდა ინგლისელი მოგზაური **ჩარლზ ბრაუნი**. იგი ბათუმში მცირე ხნით დარჩენილა და მხოლოდ იმას აღნიშნავს ბათუმის შესახებ, რომ ქალაქის ნავსადგური ძალიან მონესრიგებულია გემებისათვის. როგორც ბრაუნი ამბობს, იგი ბათუმში შემოვიდა ინგლისის გემით, რომელსაც ერქვა „გამარჯვება“. ეს გემი ბათუმში მხოლოდ 4 დღით დარჩა და ბრაუნის შთაბეჭდილებები სწორედ ამ ოთხი დღის ნანახს ეფუძნება.

იგი ამბობს, რომ „სანაპიროს გასწვრივ რამდენიმე ევროპული ტიპის სასტუმროა, სასტუმროს გვერდით უშნოდ ჩანყობილი ერთსართულიანი ხის შენობებია, რომელიც აუშნოებს ზღვიდან ხედს.

ნავსადგურში ბევრი მუშა დგას, რომლებიც ელოდებიან, თუ ვინ მისცემს სამუშაოს. ნავსადგურის ახლოს მიმდინარეობს სამუშაოები ახალი ნავმისადგომების ასაშენებლად. გაჰყავთ რკინიგზის ხაზები, ანგრევენ უსახურ ქოხმახებს, აკეთებენ სანყობებს. როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი ამ სამუშაოებს ასრულებს ერთი ფრანგული ფირმა, რომელიც ცდილობს, ბათუმის ნავსადგურთან ახლოს ააშენოს სანარმო, რომელიც დაამზადებს ნავთობის გადატვირთვისთვის სპეციალურ ჭურჭელს.


**ზემოაღნიშნულის შესახებ გიდს შეუძლია, ესაუბროს ტურისტებს ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიური მუზეუმის მონახულების დროს.**

ნავსადგურთან ახლოს განლაგებულია სავაჭრო მაღაზიები. ერთ-ერთ მაღაზიას, რომლის მფლობელია თურქი, ეწოდება





ლაზი მახმუდის სასტუმროს შენობა, ცხაკაიას ქუჩაზე, 1870-80 წწ. (1937 წ.)



ბათუმი. სასტუმროები „ბელვიუ“ და „ორიენტი“







ბარონი  
ალფონს როტშვილი



როტშვილის ქარხნის შიდახედი

ბიღონის დამზადება



რეზერვუარები

„აღმოსავლური ნობათი“. ამ მაღაზიას ბევრი კლიენტი ჰყავს, მეც ვიყიდე ამ მაღაზიაში ქიშმიში და ტკბილეული, რომელიც ძალიან გემრიელი იყო“. ბრაუნი აღნიშნავს, რომ მას არ მიეცა ქალაქის დათვალიერების საშუალება და მხოლოდ აღწერა ის, რისი ნახვაც მან მოკლე ხანში მოასწრო. გემი მალე გავიდა ბათუმიდან და კურსი აიღო კონსტანტინოპოლისაკენ, სადაც ბრაუნი დიდხანს დარჩა, იქიდან კი იგი გაემგზავრა ევროპაში.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნი ეხება ცნობილი უცხოელების მოგზაურობას ბათუმში, არ შეიძლება, არ აღვიშნოთ ერთი საინტერესო მოგზაურის მოგონება არა ბათუმზე, არამედ ჩვენს მეზობელ რეგიონზე, გურიაზე, რომლის შესახებაც საინტერესო ჩანაწერი დაგვიტოვა 1904 წელს ინგლისელმა გრეგორი რიჩარდსმა. იგი რუსეთის არმიაში მსახურობდა და ჯართან ერთად იმყოფებოდა გურიაში. რიჩარდსი საუბრობს გურიის ფლორისა და ფაუნის შესახებ და ამ მხრივ იგი მას ადარებს რუსეთის სამხრეთ ზღვისპირა რეგიონებს. რიჩარდსი მიუთითებს, რომ გურიაში ცხოვრობს ძალიან პოლიტიზებული ხალხი. ასეთი სწრაფვა სიახლისაკენ, ასეთი დაუმორჩილებლობა რეჟიმისადმი, რაც ამ პატარა კუთხეში მაცხოვრებელ ხალხში არის, სხვაგან ნაკლებად თუ შეხვდებითო. იგი აღნიშნავს, რომ „მოსახლეობაში ძალიან პოპულარული და გავრცელებულია სოციალური იდეები. იგი შესისხლბორცებულია გურულებში. ამ მხრივ მათ ბადალი არ ჰყავთ. გურული აგიტატორებით მოდებულია მთელი მხარე, საუბარი იმართება ყველგან, დაბაში, სოფელში, ცალკეულ მოსახლეობასთან, ყანაში სამუშაოდ გასულ ხალხთან, სავაჭროდ მიმავალ ადამიანებთან და თქვენ წარმოიდგინეთ, ჯარისკაცებთანაც კი. გურულმა აგიტატორებმა ისე „მოწამლეს“ სოციალური იდეებით ჩემი რაზმის რამდენიმე

წევრი, რომ იძულებული გავხდით, ისინი გადამეყვანა სხვა მხარეში მდგომ ჯარის ნაწილში. რათა სხვებიც არ მოქცეულიყვნენ აგიტატორების გავლენის ქვეშ, იძულებული გავხდით, მკაცრი დისციპლინა შემოგვეღო. კერძოდ, თუ ვინმეს შევამჩნევდით „ბუნტოვშიკებთან“ კონტაქტში, მკაცრად დაისჯებოდნენ. ამ ქმედებამ შედარებით ნაყოფი გამოიღო“.

შემდეგ რიჩარდსი საუბრობს გურიაში გავრცელებულ ფირალობაზე. ასეთი რამ მას სხვაგან არსად შეხვედრია. ეს ერთგვარი მოდაც კი იყო. ყველა სოფელს თითო ფირალი ჰყავდა, ზოგს კი – რამდენიმე. ფირალობდნენ ძირითადად რევოლუციური იდეებით შეპყრობილი ადამიანები, ასევე კრიმინალური ელემენტებიც, რომელიც მთელს იმპერიაში ძალიან მომრავლებული იყო. მოსახლეობა ერთგვარი „სიმპათიითაც“ კი იყო მათ მიმართ განწყობილი. ხალხში პოპულარობის მიზნით, ისინი საღამოობით ჩამოდიოდნენ სოფელში და ღარიბ მოსახლეობას ეხმარებოდნენ, ავინორობდნენ შედარებით მდიდრებს, თუმცა, მდიდარი, გურიაში თითზე ჩამოსათვლელი იყო, რადგან ამ მხარეში ერთმანეთში ვერ გაარჩევდი, რომელი იყო მდიდარი და რომელი ღარიბი. მდიდარი იყო აქ ის, ვისაც ლამაზი ოდა-სახლი ედგა და რამდენიმე სული პირუტყვი ჰყავდა. შედარებით მდიდარი კი იყო ის, ვინც ვაჭრობდა. გურულებს არ უყვართ ვაჭარი ხალხი და მათ აგრესიით უყურებენ. იყო ასეთი შემთხვევა, ფირალებმა ოზურგეთში გაძარცვეს ვაჭარი ამბაკო მახარაძე, მოსახლეობა ამ ფაქტს დიდი კმაყოფილებით შეხვდა, ისინი ამბობდნენ: „აბა, რა ეგონა, ვაჭრობით ნაშოვნია ქონება რომ არ შერჩებოდა, არ იცოდა?“...

რიჩარდსი გაკვირვებით ამბობს, რომ ისეთი სწრაფვა განათლებისაკენ, რომელსაც გურულებში აქვს ადგილი, სხვაგან

ნაკლებად თუ შეხედებითო. ყველა მოსახლე, რაგინდ ღარიბი არ უნდა იყოს იგი, ცდილობს, თავისი შვილი სასწავლებელში მიაბაროს. ამიტომაც არის ოზურგეთის სასწავლებელი გავსებული მოსწავლეებით. გურულები ცდილობენ, ამ მხრივ თავი გამოიჩინონ და ეს კარგად გამოსდით...

შემდეგ ინგლისელი მიუთითებს გურიაში არსებულ სამედიცინო მდგომარეობაზე და აღნიშნავს, რომ ამ მხრივ ამ მხარეში არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაა. „ექიმს გურიაში დიდად აფასებენ, ყველა ცდილობს, მას პატივი სცეს. ოზურგეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ექიმები – სტეფანე კარპენკო და კირილე ღლონტი. ისინი ძალიან უყვარდა მოსახლეობას. კარპენკომ ოზურგეთში, თავის საცხოვრებელ სახლში გახსნა პატარა საავადმყოფო, სადაც უფასოდ მკურნალობდა ავადმყოფებს, ხოლო კირილე ღლონტს, ასევე, თავის საკუთარ სახლში გახსნილი ჰქონდა მცირე აფთიაქი, სადაც ღარიბებს უფასოდ ურიგებდა წამლებს. ჩემი გურიაში ორი წლის მანძილზე, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს მათთვის რაიმე ევნოს.

მართალია, ეს კეთილი ადამიანები მცდელობას არ აკლებდნენ მოსახლეობის ჯანრთელობის სადარაჯოს, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. სოფლებს ექიმები ნაკლებად სტუმრობდნენ. ძირითადად, ავადმყოფებს ექიმბაშური მეთოდებით მკურნალობდნენ, რაც ხშირად ტრაგიკულად მთავრდებოდა...“ რიჩარდსი საუბრობს 1904 წლის აპრილში ლანჩხუთში გამართულ დიდ შეტაკებაზე ჟანდარმერია და ე. წ. „რევოლუციურ რაზმებს“ შორის, როდესაც „ორივე მხრიდან ექვსი ადამიანი დაიღუპა და ათი მძიმედ დაიჭრა. ასეთივე შეტაკება მოხდა 1904 წლის 21 აგვისტოს დაბა ჩოხატაურში, როდესაც სამი ადამიანი მძიმედ დაიჭრა... თავდასხმებს, შეტაკებებს, ბომბების აფეთქებებს,



ჩასაფრებებს თითქმის ყოველკვირეულად ჰქონდა ადგილი“, – აღნიშნავს რიჩარდსი.

\* \* \*

განსაკუთრებით გახშირებულია უცხოელების ვიზიტები ბათუმში 1820 წლიდან, რაც სავარაუდოა გამოწვეული უნდა ყოფილიყო რუსეთსა და ოსმალეთს შორის მომავალი ომის მიზეზით. ბათუმში ამ დროიდან რუსებიც გვხვდება საკმაო რაოდენობით. მაგალითად, 1821 წელს ბათუმში ყოფილან ნიკოლაევი, დავიდოვი და სერგეევი, თუმცა მათ ბათუმის შესახებ არ დაუტოვებიათ არანაირი ჩანაწერები.

## 7. ავსტრიელი და გერმანელი მოგზაურები ბათუმის შესახებ

ბათუმის მხარის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვანვდის 1833 წელს ბათუმში მცირე ხნით, გავლით, მყოფი ავსტრიელი მოგზაური **გერჰარდ ბიუხვალდი**. იგი ბათუმში თბილისიდან ჩამოვიდა და შემდეგ წასულა ტრაპიზონში, იქიდან კი – სტამბულში, როგორც ჩანაწერებიდან ჩანს, ბიუხვალდი ოსმალების მიმართ კეთილგანწყობილი პიროვნებაა. მათ შესახებ ის აღნიშნავს, რომ ოსმალები ცდილობენ, მოაწესრიგონ საქალაქო ცხოვრება. „სადაც კი ვიყავი, – წერს ბიუხვალდი, – ყველგან მშენებლობები მიმდინარეობს. ოსმალები დიდი პატივისცემით ეპყრობიან ევროპელებს, რომლებიც ოსმალების მიმართ კეთილგანწყობილნი არიან, ეს მე ყველგან ვიგრძენი. ასეთი დამოკიდებულება არ იგრძნობა რუსეთში და რუსეთის მიერ დაპყრობილ ხალხებში, სადაც ევროპელებს ცივად ხვდებიან. ეს მე ვიგრძენი თბილისში, ბაქოში და სხვა ქალაქებში“... ბათუმის შესახებ ბიუხვალდი აღნიშნავს, რომ „იგი ოსმალური ქალაქია, ძირითადი მცხოვრებლები ოსმალები არიან, გაჩაღებულია ალებ-მიცემობა, ხალხი ძალიან სტუმართმოყვარეა“. თუმცა ავსტრიელი იმაზეც მიუთითებს, რომ „ქალაქში არიან ბერძნები, სომხები, ზანგები და ევროპელებიც...“ ბათუმის ნავსადგური კეთილმოწყობილია, იქ საკმაო სამუშაოები ჩატარებია ოსმალეთის ხელისუფლებას. როგორც შევითქვე, ქალაქში ჩამოსულა ოსმა-

ლეთის ხელისუფლების მაღალჩინოსანი, მოუწყვია თათბირი, მიუცია ადგილობრივი ხელისუფლებისთვის დავალება, რომ მოენესრიგებინა ბათუმის პორტი, თან დიდი თანხების მიცემას დაჰპირებია. თანხები მართლაც წამოსულა სტამბულიდან, თან ცენტრიდან ბევრი მუსიც ჩამოსულა და დაუწყიათ პორტისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. რამდენიმე ხანში სერიოზული სამუშაოები ჩაუტარებიათ, გაკეთდა პორტთან მისასვლელი გზები. გაფართოვდა პორტის მიმდებარე ტერიტორია, დაუწყიათ ახალი ნავსადგომის მშენებლობა, მიმდინარეობდა სამუშაოები ზღვასთან ახლოს მდებარე მდინარეზე ხიდის ასაშენებლად. ოსმალები ხვდებიან, რომ ბათუმის ნავსადგური ერთ-ერთი ხელსაყრელია შავიზღვისპირეთში და საჭიროა მისი კეთილმოწყობა. ეს აზრი ოსმალებში განსაკუთრებით მაშინ განმტკიცებულა, რაც ოსმალეთმა, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, გადაიტანა დიდი ომი რუსეთთან. ისინი კარგად ხვდებიან, რომ რუსეთი სწორედ ბათუმით ოყო დაინტერესებული და ყველაფერს აკეთებდა მის ხელში ჩასაგდებად“. ავტორი წერს: “მე მქონდა საუბარი ბათუმში მყოფ მაღალჩინოსანთან და მან აღნიშნა, რომ ბათუმი უნდა გადაიქცეს მიუვალ და აუღებელ ციხესიმაგრედ, რომ აქ ვერ შემოაღწიოს მტერმა, ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ბათუმს ვერაფერს ვერ შეხედოს ავი თვალით. ეს არის ჩვენი უმთავრესი პორტი და აქედან შევძლებთ ჩვენი ამოცანების წარმატებით, მოხერხებულად გადაჭრას და მოგვარებასო,“ – აღნიშნავს ბიუზვალდი. საყურადღებოა ერთი მომენტი. ბიუზვალდი ქალაქის მოსახლეობაზე საუბრისას, არსად არ აღნიშნავს, რომ ქალაქში ქართველებიც საკმაო რაოდენობით იმყოფებოდნენ, რაც სხვა ევროპელების ჩანაწერებში ნათლადაა ასახული. როგორც

ჩანს, ბიუხვალდი ისეა გაბრაზებული იმჟამად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ხალხებზე, რომ ცდილობს, გვერდი აუაროს ჭეშმარიტებას, ან კიდევ შეიძლება მას ბათუმში მცირე ხნით ყოფნისას, ნაკლებდასაჯერებელია, მაგრამ მართლაც არ შეხვედრია ქართველები. სავარაუდებელია ისიც, რომ მაშინ ადგილობრივებს დამპყრობლებისგან მშობლიურ ენაზე საუბარი ეკრძალებოდათ, მშობლიურ (ქართულ) ენაზე მხოლოდ ოჯახურ გარემოში საუბრობდნენ, შესაბამისად, მოგზაური ვერ გაიგონებდა ქართულ ენას, რის გამოც ჩათვლიდა, რომ ისინი (ქართველები) საერთოდ არ შეხვედრია მას ბათუმში.

\* \* \*

**1878 წლის 25 აგვისტოდან ბათუმი და მისი მხარე მოექცა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.** ამ დროიდან საკმაოდაა უცხოელთა ჩანაწერები ბათუმისა და აგრეთვე სხვა ქართული მხარეების შესახებ. ეს მასალები ინახება რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფო არქივებში, ბევრი, ამ ჩანაწერებიდან პირველად მოგვაქვს სამეცნიერო ბრუნვაში და ვფიქრობთ, იგი საინტერესო უნდა იყოს მკითხველისათვის.

პირველი ცნობა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ბათუმის შესახებ, რომელიც მოვიპოვეთ, იყო გერმანელი მოგზაურის **მანფრედ ლიბერმანის ჩანაწერი.** იგი ბათუმში იმყოფებოდა 1880 წლის თებერვალ-სექტემბერში, იქიდან კი სტამბოლში გემით წასულა. იგი ამბობს ბათუმზე: „ბათუმში მე რვა თვეს ვიმყოფებოდი, ქალაქს აშკარად ეტყობა რამდენიმე წლის წინ გადატანილი ომის შედეგი. სულ ორიოდე წლის წინ იგი ოსმალეთის შემადგენლობაში იყო. აქაურმა მცხოვრებმა, რომელსაც მაჰმუდი ერქვა, მიაბო, რომ იგი ძალიან კარგად

გრძნობდა თავს იმ პერიოდში. მისი თქმით, რუსებმა ახალი წესები შემოიტანეს, ხალხს ერეკებიან თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან და წასულების სახლ-კარს რუსებს, სომხებს, ბერძნებს აძლევენ. ჩვენი ხალხი ვერ შეეგუება რუსულ ცხოვრებას და აქედან წავა. ლიბერმანი აღნიშნავს, რომ ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, ბათუმი გამოცხადდა პორტო-ფრანკოდ (თავისუფალ ნავსადგურად), ბათუმი მსოფლიოს ყველა ქვეყნის გემისათვის გახდა თავისუფალი მიმოსვლისა და ვაჭრობისა მნიშვნელოვანი ცენტრი. ეს კი ქალაქს წარმატებულ განვითარებას უქადის, მაგრამ ამას ბევრი უარყოფითი თვისებაც აქვს“.

იგი მიუთითებს, რომ ნავსადგურის სამივე მხარეს, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ და სამხრეთის მიმართულებით აღმართულია მავთულხლართებიანი ბოძები, ყოველ 20 მეტრში დგას რუსი ჯარისკაცი, რომელიც ნავსადგურის ტერიტორიაზე არავის უშვებს, იქიდან გამოსულებს კი გულდასმით ჩხრეკს. ჯარისკაცები თავხედურად იქცევიან. ნავსადგურის ტერიტორიიდან გამოსულებს ქრთამს სთხოვენ და თუ არ მიეცი, მაშინ იმიზეზებენ რაღაც კანონს და ხალხს ნაყიდი საქონლიდან ბევრს ძალით ატოვებინებენ. ხალხი უკმაყოფილოა. განსაკუთრებით აგდებულად ექცევიან ადგილობრივ მუსლიმებს, თუ მაგალითად, ცოლ-ქმარი გააჩერეს გასაჩხრეკად, ქალებსაც ჩხრეკენ. ეს კი იწვევს მამაკაცთა უკმაყოფილებას. ზოგჯერ ასეთი შემთხვევები მკვლელობითაც მთავრდება. მაგ. წელს (1880), იანვრის თვეში ერთ მთვრალ ჯარისკაცს მოუწოდებია ვიღაც ქალის გაჩხრეკა და უხეშად მოუკიდია მისთვის ხელი მკლავზე. ამან ქალის თანმხლები მამაკაცი მოთმინებიდან გამოიყვანა, ჯარისკაცისთვის ხანჯალი გულში ჩაურტყამს და ადგილზე მოუკლავს. იგი დაუპატიმრებიათ და გადაუსახლებიათ. ასეთი შემთხვევები



ბევრი ყოფილა. აღნიშნული ისტორია შესაძლებელია გიდმა მოუთხროს ტურისტს ე. წ. „შოპინგ ტურის“ დროს, რაც ვფიქრობთ, სხვა ელფერს შესძენს საყიდლებით დაინტერესებული ტურისტებისთვის და დააფიქრებს მათ, თუ რაოდენ შეიცვალა მსოფლიო საუკუნეების განმავლობაში. სხვათა შორის ასწლეულების წინ ვაჭრობის ასეთი წესი მიუღებელი იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ხალხი ამის გამო ტოვებდა თავის საცხოვრებელ სახლ-კარს და ოსმალეთში მიდიოდა (ლიბერმანი სხვა მიზეზებს არ ასახელებს, თუმცა იყო კიდევ ბევრი სხვა მიზეზი, რომელმაც მოსახლეობის მუჰაჯირად წასვლა განაპირობა). „ჩემი ნაცნობი მაჰმუდიც მიდიოდა ოსმალეთში, რადგან, როგორც თვითონ ამბობდა, აქ არ დაედგომებოდა, ადრე ყველაფერი კარგად იყო, თავისუფლად ვაჭრობდა, ყველაფერს ყიდულობდა და ყიდდა, ფულიც ჰქონდა და ცხოვრებითაც კმაყოფილი იყო, ახლა კი რუსებმა ყველაფერი არიეს, ყველაფერს გადასახადი დაადეს, ხალხს სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევენ, ჯარისკაცები თავზედურად იქცევიან, ჩვენი ხალხი არ უყვართ, ვერაფერი გაგვიყიდია, ვერაფერი გვიყიდია, უბრალო საქონელშიც კი ფულს თხოულობენ და აბა, აქ რა მესაქმება? წავალ ჩემს ხალხთან და იქ ვიქნები უკეთესადო. ასე ფიქრობენ სხვებიც“.

ლიბერმანი აღნიშნავს, რომ “ბათუმის პორტში ბევრი უცხოური გემი შემოდის და შემოაქვს საქონელი. ამათგან ძალიან ბევრი კონტრაბანდულია. სანაპიროზე დგანან ვაჭრები, რომლებსაც ეს საქონელი გადააქვთ როგორც ქვეყნის სიღრმეში, ასევე რუსეთის გუბერნიებში. ვაჭრებს შორის სჭარბობენ რუსები, ბერძნები და სომხები, ცოტა ოსმალები და ქართველები. არის შემთხვევები, როდესაც გემის კაპიტანმა იცის, თუ ბათუმში რომელ საქონელს ჩამოიტანს, რადგან ეს საქონელი თვით უცხო-


ეთში შერჩეული ჰქონდა ვაჭარს, ბათუმში კი ან თვით ან კიდევ მისი წარმომადგენელი ხვდებოდა გემს და საქონელი მიჰქონდა დანიშნულებისამებრ. ასეთ ვაჭრებს თავიანთი საქონლითურთ უპრობლემოდ ატარებდნენ საგუშაგოებზე, რადგან მეზაჟეები წინასწარ ჰყავდათ მოქრთამული. ბათუმში ზღვასთან ახლოს, მიმდინარეობს საბაჟოს შენობის მშენებლობა, სულ ოთხი საგუშაგო ააშენეს“... „ქალაქში ჩემი ყოფნის დროს ჩამოვიდა პეტერბურგიდან ცენტრალური საიმპერიო ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელი და ადგილობრივ რუსულ ადმინისტრაციასთან თათბირობდა ქალაქის კეთილმოწყობის შესახებ. პირველი, რაც მათ დაადგინეს იყო ის, რომ უცხოეთში წასულთა უძრავ-მოძრავი ქონება სახელმწიფო ხაზინაში ჩარიცხეს და მასზე თავისუფალი გაყიდვა დაანესეს. ძირითადად, ეს შეეხო ქალაქიდან წასულთა ქონებას. ასეთ ქონებას, მისი მდებარეობისდა მიხედვით, უმეტესად ყიდულობენ მდიდარი რუსები, სომხები და ბერძნები, ხოლო ქრისტიან ქართველებს არ აძლევდნენ ქალაქის შედარებით კარგ ადგილას ქონების შეძენის საშუალებას, როდესაც დავინტერესდი და ვიკითხე, თუ რატომ, მიპასუხეს, რომ ქართველები ნაციონალისტები არიან და არ შეიძლება მათი ნდობაო. ასეთმა პასუხმა ძალიან გამაკვირვა“... ლიბერმანი აღნიშნავს, რომ „რუსებმა ქალაქის აღმოსავლეთის მიმართულებით განალაგეს დიდძალი ჯარის ნაწილი და მათთვის დაიწყეს ყაზარმების მშენებლობა. ზოგიერთი ყაზარმის მშენებლობა დამთავრებული იყო, ზოგიერთისა – კი გრძელდებოდა... ქალაქში მიმდინარეობდა, აგრეთვე, სკოლის მშენებლობა, რომელსაც კურირებდა ბათუმის გუბერნატორი კომაროვი, ბათუმში ამბობდნენ, რომ ამ სკოლაში მდიდრების შვილებმა უნდა ისწავლონ“.

ლიბერმანი აღნიშნავს: „მიუხედავად იმისა, რომ ბათუმი რუსთა ხელში გადავიდა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ახალ შენობას, სხვა არაფერი არ გაკეთებულა, უსუფთაო, თითქმის დანგრეული სახლები, დაბეჩავებული ხალხი, უიმედობა და გაბოროტებაა. აი, ასეთია დღევანდელი ბათუმის სახე“. – ასრულებს ლიბერმანი თავის ჩანაწერებს ბათუმზე, მართალია, უიმედობა სჭარბობს მომავალ იმედს, მაგრამ მისი შეხედულება მაინც საინტერესო და საყურადღებოა იმდროინდელი მოვლენების გასაცნობად.

\* \* \*

**XX საუკუნის დასაწყისში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გახშირდა უცხოელთა ვიზიტები, რაც გამოიწვია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურმა აღმავლობამ.** აქ ჩამოდიოდნენ როგორც მოგზაურები, ასევე მეცნიერები, კომერსანტები და სხვა პროფესიის ადამიანები. ზოგი მოდიოდა საქმიანი ვიზიტებით, ზოგი კი მხოლოდ მოგზაურობდა. ყველა მათგანმა საკუთარი შეხედულებები დაგვიტოვა იმდროინდელ ბათუმის, ოზურგეთის, ფოთის, ქუთაისის, ზუგდიდის, სოხუმის, თბილისის, თელავისა და გორის შესახებ და ამდენად, მათი თვალით დანახული და შესწავლილი საქართველოს იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრება დღევანდელი გადასახედიდან ფრიად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა.

1902 წლის მაისის ბოლო რიცხვებში გერმანელი ეთნოგრაფები **ზიგმუნდ კალცი** და **ვოლფგანგ ბონჰოფი** ბათუმს ეწვივნენ. ბათუმის შესახებ მათ შედარებით ვრცელი მონათხრობი დატოვეს. გერმანელები მიიჩნევენ, რომ „ბათუმი წარმოადგენს



№ 3281. Агентство Русскаго Общества, пакгаузъ и таможенъ.

ბათუმის პორტი



№ 1755. Батумъ. Пристань и пароходъ „Пушкинъ“ Р. О. П. и Т. 86

ბათუმის პორტი

ერთ-ერთ საუკეთესო სანავსადგურო ქალაქს, სადაც თითქმის ყოველდღე შემოდის გემები. ნავსადგურში გაცხოველებული მუშაობაა. მათ ძალიან მოეწონათ ზღვისპირა პარკი. ყოველ დილით პარკებში გამოდიან მეეზოვეები და ჰგვიან მას.

ამიტომაც არის პარკში იდეალური სისუფთავე. ასევე, ჯარი-მაა დაწესებული იმ პირთათვის, ვინც დაანაგვიანებს პარკს. იქ ბევრია პოლიციელი, რომელიც თვალყურს ადევნებს წესრიგს. პარკის სიახლოვეს არ არის არც ერთი სავაჭრო ჯიხური. ბათუმელებს ძალიან უყვართ თავიანთი პარკი და ის ქალაქის ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავ ადგილად მიაჩნიათ. გერმანელები აღნიშნავენ, რომ დამსვენებელთა შორის სჭარბობენ რუსები, სომხები და ბერძნები. ძალიან ცოტაა ქართველები. ეს კი უცნაურად მიაჩნიათ მათ. გერმანელები აღნიშნავენ, რომ ზღვაზე გადაადგილებისას მგზავრებს ემსახურება აფრიანი და ნიჩბიანი ნავეები, ასევე მომცრო გემები, რომლებიც ნავსადგურში დგანან. მათი ცნობით, მგზავრობის ნიხრი განისაზღვრება შემდეგი ტარიფით: გემიდან ნაპირამდე და ნაპირიდან გემამდე, ხუთ კილომეტრამდე, ბარგით – 10 კაპიკი, ერთ ფუთზე მეტის წონადობის ბარგით – 20 კაპიკი, ათ ფუთზე მეტი წონადობის ბარგით – 30 კაპიკი. სეირნობისას საფასურის გადახდა ხდება მენავეებთან შეთანხმებით...

**ზღვისპირა პარკის მარშრუტი საყოველთაოდ ცნობილია ბათუმში. ამ მარშრუტის გავლისას, რომელიც ძირითადად საფეხმავლოა, ტურისტები იყენებენ ბორნით გასეირნების მომსახურებას, შესაბამისად, ამ ისტორიის მოსაყოლად სწორედ საუკეთესო დროა შავ ზღვაზე ბორნით გასეირნებისას.**

გერმანელები აღნიშნავენ, რომ ქალაქში ყოფნის პერიოდში ერთ დიდ სახლს, ქალაქის ცენტრში, გაუჩნდა ხანძარი, რომე-



ლიც გამოიწვია საწვავ ნივთიერებებთან უდიერმა მოპყრობამ. შემთხვევის ადგილას სწრაფად გაჩნდნენ მეხანძრეები და მოსახლეობის დახმარებით შეძლეს ხანძრის ჩაქრობა, თუმცა შენობას დიდი ზიანი მიაღდა, ის საცხოვრებლად უვარგისი გახდა... გერმანელები საუბრობენ ბათუმელთა ეთნოგრაფიულ ყოფა-ცხოვრებაზე. ისინი იყვნენ, ადგილობრივი მცხოვრების, გიორგი ლორთქიფანიძის სახლში. სახლის შესახებ აღნიშნავენ, რომ იგი მდებარეობდა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. სახლს ჰქონდა დიდი ეზო, სადაც სხვადასხვა ხე იყო დარგული. მასპინძელი ყვავილების დიდი მოყვარული ყოფილა, რაც ეზოს ეტყობოდა კიდეც. ეზოში დარგული იყო სხვადასხვა ჯიშის ყვავილი, რაც სასიამოვნო პეიზაჟს ქმნიდა. ოთახის ცენტრში, რომელიც სტუმრისთვის იყო განკუთვნილი, იდგა დიდი მრგვალი მაგიდა, სადაც იკრიბებოდნენ როგორც სტუმრები, ისე მასპინძლები. კედელზე გაკრული იყო დიდი ნოხი, სადაც ჩამოკიდული იყო საბრძოლო იარაღები, ხმლები და თოფები. მასპინძელი ამაცობდა იმით, რომ ეს იარაღები ეკუთვნოდა მის დიდ პაპას, რომელიც მონაწილეობდა თურქეთის წინააღმდეგ ომში. სხვათა შორის, აღნიშნავენ გერმანელები, მსგავსი რამ მათ ნახეს ოზურგეთში, ფოთსა და თბილისში. გერმანელებს მოსწონთ ის, რომ ლორთქიფანიძის სახლი ევროპულ ყაიდაზე იყო მოწყობილი, კარებთან ახლოს იდგა დიდი კომოდი, რომელზედაც იდო ლამპა და სხვადასხვა საოჯახო ხელსაწყო. სახლს უკანა მხრიდან ჰქონდა გასასვლელი პირდაპირ ყვავილნარში. ოჯახის წევრები გამოდიოდნენ აივანზე და ისვენებდნენ ამ ლამაზ ადგილას. სახლი გადახურული იყო კრამიტით, რომელიც მარსელიდან ჩამოუტანია მის მეგობარს. მასპინძლის ჩაცმულობა ტიპური კავკასიურია – ჩოხა-ახალუხი და წელზე შემორტყმული ქამარ-ხანჯალი... მოგზაურები მიუთითებენ,

რომ ლორთქიფანიძემ ისინი წაიყვანა ბათუმის ახლოს მდებარე სოფელ ფერიაში, სადაც მასპინძელმა, რომელსაც სახელად ახმედს ეძახდნენ, კარგი მასპინძლობა გაუწია. ისინი აღნიშნავენ, რომ ახმედს დიდი მამული ჰქონია, მამულის ცენტრში იდგა ერთსართულიანი სახლი რამდენიმე ოთახით. ეზოს სხვადასხვა მხარეს განლაგებული ყოფილა დამხმარე ნაგებობები – პირუტყვისთვის, სასოფლო სამეურნეო პროდუქტებისთვის, როგორც ჩანს, მასპინძელი კარგი მეურნე ადამიანი იყო, ეს ეტყობოდა როგორც მის სახლ-კარს, ასევე ეზოსაც. „მასპინძლის მეუღლე და ორი ქალიშვილი ფუსფუსებდნენ ეზოში, სადაც საკმაო რაოდენობით ფრინველი და საქონელი იყო. მასპინძლის გაშლილ სუფრას სახლის სასტუმრო ოთახში უსხდნენ კაცები. როგორც გავიგეთ, ქალებს არ ჰქონდათ უფლება იმ მაგიდასთან ჯდომისა, ეს მათი წესია. ეზოში იდგა ძაფსართავი მონყობილობა, სადაც ახმედის ცოლ-შვილი ძაფს რთავდა და მისგან ამზადებდა საყოფაცხოვრებო ნაწარმს, წინდებს, ხელთათმანებს და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონში, რუსები უკვე კარგა ხანია, დამკვიდრებულნი არიან, ჯერ კიდევ აშკარაა შუასაუკუნეობრივი გადმონაშთები. კერძოდ, ქალები ჩადრით დადიან, კაცების მორჩილნი არიან და მათი სურვილების უსიტყვო შემსრულებელნი. ეს ახმედის ოჯახს აშკარად ეტყობოდა“.

**ზემოაღნიშნული ისტორიები შეიძლება მოუყვეს გიდმა ვიზიტორებს აჭარული ადამიანებისა და ჩვეულებების საუბრის დროს, აჭარლების სტუმარმასპინძლობა ხომ საყოველთაოდ ცნობილია, შესაბამისად, უცხოელის თვალთ დანახული ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მიმზიდველი უნდა იყოს ტურისტისთვის. განსაკუთრებით საინტერესო იქნება ეს ისტორია ე.წ. „ტრადიციული ოჯახში ვიზიტი“ ტურის დროს, ეს არის ტური,**

როდესაც ტურისტები მიჰყავთ ტრადიციულ ქართულ ოჯახში, რომლის სახლი ტრადიციული წესითაა მოწყობილი და სტუმარმასპინძლობის რიტუალიც ძველი ტრადიციებით იმართება, სადაც წარმოჩენილია ქართული სუფრის განსაკუთრებულობა და თამადის როლი. ასევე გიდმა აუცილებლად უნდა გაავლოს პარალელები ახლანდელსა და ძველ ადათ-წესებს შორის, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილია აჭარაში. უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტებს განსაკუთრებით მოსწონთ ეს ტურისტული პაკეტი, რაც შემდგომ აშკარად ჩანს შეფასებებში, რომლებსაც ისინი ტურისტულ კომპანიებს და გიდებს ჩანაწერების სახით უტოვებენ.

აი, მაგალითად, ზემოთ ხსენებული გერმანელი მოგზაური ასე აღწერს თვით სტუმრობის ერთ-ერთ ეპიზოდს:

„როდესაც ვიმყოფებოდით ახმედის სასტუმრო ოთახში და ვისხედით მაგიდასთან, ამ დროს ოთახში ახმედის მეზობელი შემოვიდა. მასპინძელი ფეხზე წამოდგა, მიესალმა მას და სუფრასთან მოიწვია, გააცნო სტუმრები და იგი გახდა მაგიდის სრულუფლებიანი წევრი. ასეთი რამ სხვაგან არ მინახავსო“, – გერმანელი სტუმრები იმასაც აღნიშნავენ, რომ ქართველთა სტუმართმოყვარეობა ორიგინალური და განსაკუთრებულიაო.

გერმანელები საუბრობენ ბათუმში რამდენიმე ბაზრობის შესახებ. ამათგან ერთ ბაზრობაზე, რომელიც იმართება ბათუმის ე. წ. თურქულ უბანში, ძირითადად, ვაჭრობენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით და იგი ეწყობა კვირაობით, ხოლო დანარჩენი თითქმის ყოველდღიურია... გერმანელები აფასებენ ქართველთა ერთგულებას და მიუთითებენ, რომ ცარიზმი ავინროებს ქართულ თვითმყოფადობას, რადგან ეშინია, რომ თავისუფლება და სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ ამ ხალხში ჯერ კიდევ არ გამქრალა.



### მამაკაცის ჩაქურა

ჩაქურა მამაკაცის წელს ზემოთ ჩასაცმელი იყო და ფაქტობრივად ჩოხის ზედატანს წარმოადგენდა. ჩაქურას კომპლექტში გარდა საკუთრივ ჩოხისა, შედიოდა ზუბუნა - ორჯიბიანი ახალუხის ტიპის სამოსი, შარვალი, თალაბულუსის სარტყელი (კუბოკრული, ზანკლები(პაჭიჭი), წინდები და ტყავის ჭვინტიანი ფეხსაცმელი „ლაფჩინი“.

ჩაქურა გავრცელებული იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, გურია-აჭარასა და სამეგრელოში.

1. ჩაქურა-წითელი (ზედატანი).
2. შარვალი-წითელი შალის, არშით.
3. ყაბალახი-წითელი შალის, არშით.
4. ქმარი შალის.
5. ფეხსაცმელი (წულა)შავი.

დაცულია ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში



### ქალის ზედატანი „სიხმა“ და დატეხილი ქვედაკაბა

ქალის ზედა ტანის ჩაცმულობაში ერთ-ერთი წამყვანი სამოსი იყო სიხმა. იგი ფაბრიკული ქსოვილისაგან (ხავერდი, სატინა, მაუდი, ფარჩა) მზადდებოდა. მის ფერს გემოვნებისა და ასაკის მიხედვით არჩევდნენ. იგი მჭიდროდ იყო მორგებული ქალის ტანზე. შესამკობად იყენებდნენ სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ყაითნებს, ფერად ძაფებს, ტისმებს. წელსქვედა ჩასაცმელი იყო დატეხილი კაბა. კაბის მასალად გამოიყენებოდა ნაზი ქსოვილები - ყანაოზი, ყუმაში და სხვა.

1. სიხმა - ქალის წელსზედა ჩასაცმელი.
2. დატეხილი კაბა - ქალის წელსქვედა ჩასაცმელი.

დაცულია ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში





### საქორწინო კაბა

საქორწინო კაბა დამზადებულია აბრეშუმის ქსოვილისაგან, ყვითელი (სპილოს ძვლის) ფერისაა, მასზე გამოსახულია მრავალი ვარდისფერი მცენარე. კაბა ორი ნაწილისაგან შედგება: ზედა ნაწილის სახელოები მაქმანებითაა დამშვენებული, ხოლო ქვედა ნაწილი მრავალნაოჭიანია. საქორწინო კაბა ეკუთვნოდა დევერიშ-ბეგ ბეჟანიძის მეუღლეს სალიე შერვაშიძეს. კაბა განკუთვნილია ქორწილის მეორე დღისათვის. დაცულია ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში



### სადედოფლო კაბა

სადედოფლო კაბა დამზადებულია მუქი ლურჯი ფერის ხავერდისაგან, დამშვენებულია ოქრომკედის ძაფის ნაქარგობით. მასზედ მჭიდროდ ამოქარგულია სტილიზებული ყვავილი, რომელიც ჩასმულია ტალღისებური ორნამენტით შეკრულ წრეში. წრეში ამოქარგულია ოქროს ძაფით პატარა წერტილები „კუმბილები“.

საქორწინო კაბა განკუთვნილი იყო პირველი დღისათვის. შიგნით ჩასაცმელად იყენებდნენ პერანგს „ბურუნჯულის“, რომელიც დამზადებული იყო აბრეშუმის ქსოვილისაგან. კაბა ეკუთვნოდა დევირმ-ბეგ ბეჟანიძის მეუღლეს სალიე შერვაშიძეს. დაცულია ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში



ბათუმის ბაზარი



ზღვისპირა პარკი

## 8. იტალიელი მოგზაურები ბათუმის შესახებ

1854 წელს ბათუმის შესახებ საინტერესო ცნობებს გვან-  
ვდის იტალიელი მოგზაური **გაბრიელე ბრინდიზი**, რომელიც  
ბათუმში იმყოფებოდა, როგორც ის ამბობს, „შავიზღვისპირე-  
თის რეგიონის უკეთეს გაცნობის მიზნით“. ბრინდიზი მიუთითებს,  
რომ შავიზღვისპირეთში მიმდინარეობს საომარი მოქმედებები  
ოსმალეთსა და რუსეთს შორის. ბათუმის მოსახლეობა პანიკა-  
შია, ისინი ქალაქს ტოვებენ, რადგან ეშინიათ რუსეთის ჯარის  
შემოჭრისა. ქალაქი თითქმის ცარიელია, იქ, ძირითადად, ჯა-  
რისკაცები არიან და განლაგებულია სამხედრო ტექნიკა. ზღვის  
სანაპიროს ჯარისკაცები იცავენ, ციხესიმაგრეებზე დგას ზა-  
რბაზნები, რომლებიც მზად არიან ცეცხლი გაუხსნან ზღვაში  
მცურავ ნებისმიერ ობიექტს. ბრინდიზი აღნიშნავს, რომ ოს-  
მალეთის არმიაში ინსტრუქტორებად მომუშავე ბევრი ინგლი-  
სელი, ფრანგი და ასევე იტალიელი ნახა. ისინი ჯარისკაცებს  
ავარჯიშებენ დღეში რამდენჯერმე და ასწავლიან ხელჩართუ-  
ლი ბრძოლის წესებს. რაც შეეხება ჩემს თანამემამულე ოთხ  
იტალიელს, ამათგან ორი ქალაქ ვერონიდან იყო, ერთი – მილა-  
ნიდან და ერთიც – ქალაქ ბარიდან. ისინი ბათუმში ჩამოვიდნენ  
თურქეთის ჯართან ერთად, მონაწილეობა მიიღეს რამოდენიმე  
საბრძოლო მოქმედებაში მათ მხარეზე. ოფიცრები მოთავსებუ-  
ლნი იყვნენ კერძო სახლებში, ხოლო მეთაურები – შედარებით  
კეთილმოწყობილ სასტუმროში. როგორც მე გავიგე, – ამბობს  
ბრინდიზი, – აქაურ ხალხს, რომელსაც აჭარლებს ეძახიან და

ქართველების მონათესავეა, თურქეთის ხელისუფლება ნაკლებად ენდობა, რადგან შესაძლოა, ბრძოლის დროს მათი მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია დაიკავონ. ასეთი შემთხვევები ადრე ყოფილა. ბათუმში გაუთავისუფლებიათ ერთი კაცი, რომელიც დაუკავებიათ იმ დროს, როდესაც იგი რამდენიმე პიროვნებას რალაც საიდუმლო რუკას აძლევდა. ეს კაცი აჭარელი აღმოჩნდა, ხოლო სხვა დაკავებულები კი რუსეთის აგენტები აღმოჩნდნენ, რომლებიც საიდუმლოდ შემოსულან ბათუმის ტერიტორიაზე. ასეთი შემთხვევები ბევრი იყო და ამიტომაც ემინია თურქეთის ხელისუფლებას ადგილობრივი მოსახლეობის“.

ბრინდიზი ქალაქის შესახებაც ამბობს, რომ აქ არ მიმდინარეობს არავითარი მშენებლობა, ქალაქში მხოლოდ რამდენიმე მაღაზია მუშაობს. ბათუმის პორტში გაძლიერებული დაცვაა და იქ დგას თურქეთის საზღვაო საბრძოლო ხომალდები. სხვა სახის გემები ქალაქის პორტში თითქმის არ შემოდის. ასეთი 1853 წელს მხოლოდ ერთი თურქული გემი შემოვიდა, ხოლო 1854 წლის პირველ ნახევარში კი არც ერთი. მოსახლეობა, ძირითადად, დაკავებულია ჯარისკაცებისათვის დახმარების გაწევით, კერძოდ, მათთან მიაქვთ სურსათი, ტანსაცმელი და ეხმარებიან სხვადასხვა სამუშაოს შესრულებაში. ბრინდიზი იმასაც აღნიშნავს, რომ მისი იქ ყოფნის პერიოდში ბათუმში გაიმართა მხოლოდ ერთ ბაზრობა და მასში ძალიან ცოტა ხალხი ღებულობდა მონაწილეობასო.

1872 წლის ბათუმზე საინტერესო და მრავლისმთქმელ ჩანაწერებს ვპოულობთ იტალიელი მოგზაურისა და მეცნიერის კრისტიან მოროსთან. მორო ბათუმში ჩამოსულა 1872 წლის მარტში და აქ დარჩენილა იმავე წლის დეკემბრამდე, შემდეგ კვლავ იტალიაში გამგზავრებულია. მოროს მოუვლია მთელი ოსმალეთი, როგორც ხმელთაშუა ზღვის, ასევე შავი ზღვის სა-



ნაპიროები, ყოფილა ცენტრალურ ოსმალეთში. ბათუმში ყოფნისას ის ხშირად სტუმრობდა იტალიის კონსულს, მალმუზის. კრისტიან მორომ ნახა მშენებარე ობიექტები, გზები და ბათუმის სწრაფ ზრდაზე მიგვანიშნებს.

**მორო იმასაც ამბობს, რომ ბათუმი თავისი პორტის მოხერხებულობის გამო ევროპელების ყურადღების ცენტრშია,** რომ ბათუმში ფუნქციონირებს ევროპული სანაოსნო საზოგადოებათა სააგენტოები. ასევე, 60-იან წლებში ქალაქში დაარსებულა ევროპული სავაჭრო საზოგადოებანი. ასეთივე საზოგადოებები არსებობდა, აგრეთვე ოსმალეთის თითქმის ყველა დიდ ქალაქში. ბათუმში დაარსდა აგრეთვე პეტერბურგის სადაზღვევო კომპანიის განყოფილება. რუსები ამკარად აქტიურობდნენ ბათუმთან დაკავშირებით. ეს არ მოსწონს ოსმალეთის ხელისუფლებას და ცდილობს, შეზღუდოს მათი აქტიურობა. მათ სურთ, არსებული რუსული ორგანიზაციები გააკონტროლონ და ჩარჩოებში მოაქციონ. თვით ოსმალეთის ხელისუფლება ცდილობს კავშირების დამყარებას რუსეთთან. ამ მიმართულებით გახსნილია ოსმალური სავაჭრო სააგენტოები რუსეთის შავიზღვისპირეთის ქალაქებში, ასევე, თვით პეტერბურგსა და მოსკოვშიც. მორო აღნიშნავს, რომ „ბათუმის მოსახლეობა 4 ათასზე მეტ ორივე სქესის ადამიანს ითვლის. ამას თუ დავუმატებთ ქალაქში დროებით საცხოვრებლად ჩამოსულთა რიცხვს, რომელიც საკმაოდ დიდი იყო, მაშინ კიდევ უფრო გაიზრდება ქალაქის მოსახლეობა“. მორო აღნიშნავს, რომ „ბათუმის მკვიდრი მოსახლეობა ოსმალები, აჭარლები და ლაზები არიან, აგრეთვე – აფხაზები, ჩერქეზები, სომხები და ბერძნები. აფხაზები ბათუმის მიდამოებში სახლობენ ნურის ტბის მიდამოებში“. მორო ვარაუდობს, რომ აფხაზთა რაოდენობა შეადგენს 300-ზე მეტ ოჯახს. იგი აღნიშნავს, რომ „ბათუმის მოსახლეობა

ლაპარაკობს ოსმალურ, ქართულ და ბერძნულ ენებზე. მორო ჩაცმულობაზეც საუბრობს და ამბობს, რომ აჭარლების, ლაზე-ბის, ჩერქეზების და აფხაზების ჩაცმულობა ერთნაირია. ისინი ატარებენ ჩოხა-ახალუხს, აჭარლებს უყვართ წითელი ფერის ნაჭრისგან შეკერილი ჩოხა, ლაზებს – ცისფერი, ხოლო ჩერქე-ზებსა და აფხაზებს – თეთრი.

თავზე ახურავთ დიდი ბოხოხი ქუდეები, ქამარზე უკეთიათ ხა-ნჯლები, ზოგ აფხაზს კი ხმალიც ჰქონდა მიმაგრებული. მოროს აზრით, აჭარლები ამაყი ხალხია, უყვართ სეირნობა და დროს ტარება, თუმცა გასართობი ადგილები თითქმის არ არსებობს. ასევე შეიძლება ითქვას აფხაზებზე. ოსმალები მკვეთრად გან-სხვავდებიან მათგან. მათ აცვიათ ფართო შარვლები, მოკლე პი-ჯაკები და თავზე ახურავთ წონოლა ქუდეები. მათი ტანსაცმელი ფერადია. რაც უფრო ფერადია ტანსაცმელი, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი მფლობელი კოხტა და მდიდარი კაცია, ხოლო შავი ფე-რის მატარებელი კაცი ღარიბია. ქალაქში არსებული სავაჭრო დუქნები, ძირითადად, ოსმალთა ხელშია. იქ ვაჭრობენ ყველაფ-რით, განსაკუთრებით გემებით შემოტანილი საქონლით. გემე-ბი კი ბევრი შემოდის ბათუმის პორტში. გემებიდან საქონლის გადმოტვირთვას, ძირითადად, აწარმოებენ სომხები, ბერძნები და ბათუმის მეზობლად მდებარე ქართული კუთხეებიდან ჩამო-სული სეზონური მუშები. ქალაქში არსებობს სახელოსნოები, სადაც ძირითადად აჭარლები, აფხაზები და ჩერქეზები მუშაო-ბენ. დიდი გასაყალი აქვს ცივ იარაღს, ხანჯლებს, ხმლებს. ასეთ იარაღს იძენენ როგორც ბათუმის მკვიდრნი, ასევე მოსულე-ბიც. ბათუმში გასაყიდად ჩამოაქვთ, აგრეთვე, ცეცხლსასრო-ლი იარაღი, რომელსაც ბათუმის მხარის სოფლებში ამზადებენ. იარაღს საიდუმლოდ, კონტრაბანდულად ყიდნიან, რადგან მის პოვნაზე პატრონს დიდი ჯარიმა ან საპატიმრო ელის. იარაღს



აჭარული სამოსი



აჭარული სამოსი



ჩაცმულობა

აფხაზებიც ამზადებენ და ფარულად ყიდიან. ხშირია მკვლელობებიც. სისხლის ალების წესი მთელი ძალით მძვინვარებს. გახშირდა ყაჩაღობაც. აგვისტოს თვეში (1872 წ.) ყაჩაღებმა შეძლეს ბათუმის პორტში მდგომი გემის გაძარცვა, ფული და საქონელი წაიღეს, ყაჩაღებს ჯარისკაცები დაედევნენ, ატყდა ორმხრივი სროლა, რამდენიმე ყაჩაღი და ჯარისკაცი დაიღუპა, სხვებმა მიმალვა მოასწარეს. ამის გამო გემის კაპიტანმა უკმაყოფილება გამოთქვა და ცენტრალურ ხელისუფლებასთან უჩივლა ადგილობრივ მმართველს. იგი გაათავისუფლეს და მის ნაცვლად სხვა დანიშნეს. როგორც გავიგე, ახლად დანიშნული პიროვნება ჩერქეზი ყოფილა. მორო ამბობს, რომ “ბათუმელი ქალები ჩადრით დადიან და ნაკლებად თუ გამოჩნდებიან ქუჩაში, ძირითადად სახლში სხედან. აჭარლები მხიარული ბუნებისანი არიან – უყვართ სიმღერა და ცეკვა, რასაც ვერ ვიტყვით ოსმალებზე, რომლებიც ადრე დილიდან გვიან საღამომდე ვაჭრობენ. აჭარლებს ოსმალები არ უყვართ, მტრულად არიან, ასევე ითქმის ლაზებზეც. ლაზები ბათუმში მხოლოდ რამდენიმე დღით რჩებიან და შემდეგ მიდიან ტრაპიზონის მხარეში, სადაც მათ აქვთ სახლები და მიწის ნაკვეთები. მორო აღნიშნავს, რომ ბათუმი ძალიან გაუნათლებელი ქალაქია. ქალაქში არ ფუნქციონირებს არც ერთი სკოლა. ბავშვებს სახლში აძლევენ ცოდნას მშობლები, რა თქმა უნდა, თუ ისინი წერა-კითხვის მცოდნენი არიან, მაგრამ ასეთები ძალიან ცოტაა. ქალაქი, ძირითადად, ვაჭრობით ირჩენს თავს. ზოგი ბათუმელი ცდილობს, თავისი შვილი სასწავლებლად სხვა ქალაქის მედრესეში გაგზავნოს და ამას ახერხებს კიდეც. ბათუმელებმა სთხოვეს ქალაქის მმართველს ქალაქში სასწავლებელი გაეხსნა, ისიც დაჰპირდა ამ საკითხის მოგვარებას. ბათუმელმა იტალიელმა კონსულმა მალმუზიმ ქალაქის ცენტრში დაიქირავა შენობა, სადაც ბავშვებს



ასწავლიდნენ წერა-კითხვას, მაგრამ ეს სასწავლებელი დახურეს, რადგან იქ სწავლა მიმდინარეობდა არაოსმალურ ენაზე, რაც ხელისუფლებამ სახიფათოდ მიიჩნია“.

შემდეგ მორო საუბრობს ბათუმის აუტანელ ჰავაზე: „ბათუმი ცხოვრებისათვის ძალიან მძიმე ქალაქია, ყველა ცდილობს, ქალაქი ზაფხულობით დატოვოს, ხშირია გადაუდებელი წვიმები. ქალაქში არ არსებობს არც ერთი სამკურნალო დაწესებულება, მკურნალობენ ხოჯები, ექიმბაშები და ასეთი მკურნალობა მსხვერპლით მთავრდება. ექიმბაშები, ძირითადად, ბერძნები არიან. ქალაქში ხშირია სიკვდილიანობა, ამიტომ ქალაქი სავსეა სასაფლაოებით, ყველა ქუჩა სასაფლაოსთან მთავრდება. მორო ამბობს, რომ მიუხედავად ამისა, ქალაქი მაინც იზრდება და სახლდება“.

ვფიქრობთ, ეს ძალიან საინტერესო ცნობებია.

**XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ბათუმში გახშირდა უცხოელების ვიზიტები, ხოლო XX საუკუნის დასაწყისიდან იგი თითქმის ყოველთვიური გახდა.** ასევე ხშირად მოგზაურობდნენ ისინი საქართველოს სხვა მხარეებში და საინტერესო ჩანაწერებს აკეთებდნენ. ამჯერად მკითხველი ბევრ ახალ, ჯერ კიდევ უცნობ მასალას გაეცნობა იმ პერიოდის საქართველოს შესახებ. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ის დროა, როდესაც ბათუმი ეკონომიკურად წინაურდება – ქალაქში ფუძნდება უცხოური სავაჭრო და სამრეწველო ფირმები და ამდენად მოხშირდა უცხოელების ვიზიტებიც. ისინი მარტო ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას როდი აკვირდებოდნენ, ისინი სწავლობდნენ მთელი კუთხის ცხოვრებას, მათი შეხედულებები პირად დაკვირვებებს ეყრდნობოდა და ამდენად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ზოგიერთ შეფასებებში მათი მოსაზრებები კრიტიკულ მიდგომას საჭიროებს ტენდენციურობის, ზოგჯერ არაობიექტურობის გამოც.

## **9. ნორვეგიელი მოგზაური მარტინ გროსო ბათუმის შესახებ**

1898 წლის ბათუმის შესახებ საუბრობს ნორვეგიელი მოგზაური **მარტინ გროსო**. იგი ფრანგული გემით – „პარიზი“ – ბათუმში ჩამოსულა 1898 წლის 16 აპრილს და 4 მაისს ქალაქიდან გამგზავრებულია. მისი ჩამოსვლის მიზანი იყო შავიზღვისპირეთის მონახულება და აქ არსებული საზოგადოებრივი მდგომარეობის შესწავლა. გროსო ამბობს, რომ იგი პროფესიით ისტორიკოსია და სანამ აქეთ გამოემგზავრებოდა, შეისწავლა აქ არსებული ისტორიული ვითარება. იგი აღნიშნავს, რომ „ბათუმი ადრე საქართველოს შემადგენლობაში იყო, შემდეგ ის თურქებმა მიი-საკუთრეს, რუსეთ-თურქეთის ომის დროს ქალაქი რუსეთის კუთვნილება გახდა და ქალაქში რუსული კანონები მოქმედებს. უპირველეს ყოვლისა, რაც ბათუმში თვალში მოგხვდება, ეს არის მოსახლეობის მხრივ ქალაქის სიჭრელე – ერთმანეთში ირევიან რუსები, სომხები, ბერძნები, თურქები, ქართველები, ქურთები და კიდევ სხვა ეროვნების წარმომადგენლები“. ეს ფაქტი გიდმა შეიძლება, მოუთხროს ტურისტს ბათუმის, როგორც ტოლერანტული ქალაქის, დახასიათებისას. ჩვენი ტოლერანტული დამოკიდებულება სხვა ერების მიმართ არ არის დღეს აღმოცენებული, ეს ჩვენ სისხლში გვაქვს გამჯდარი ოდიოტანვე.

„ბათუმი შეიძლება ითქვას, სავაჭრო და სამრეწველო ქალაქია. აქ ქალაქის ცენტრში ბევრი სავაჭრო ობიექტია. ვაჭრობენ ყველაფრით, დაწყებული პროდუქტიდან, დამთავრებული საბ-

რძოლო იარაღით. ასევე, ბევრია სახელოსნო. აქ ამზადებენ სპილენძის ნაკეთობებს, საყოფაცხოვრებო ნივთებს, აბრებს ქუჩებზე წარწერისათვის. ზღვის სანაპიროზე განლაგებულია სამრეწველო ობიექტები, რომლებიც ამზადებენ ნავთის გა-  
დასაზიდ ტარას. ამ სამრეწველო ობიექტების მფლობელებს აქვთ ზღვასთან ახლოს დიდი საწყობები მოწყობილი, სადაც ინახება ქარხანაში დამზადებული პროდუქცია. ასევე, ყველა მფლობელს, თავისი ქარხნიდან ნავმისადგომამდე გაყვანილი აქვს რკინიგზის ხაზი, რათა იოლად განახორციელონ ნავთის გემებზე გადატვირთვა. საინტერესოა ერთი გარემოება, რომ ქალაქის ხელისუფლებას აქვს დაწესებული ეკოლოგიური გა-  
დასახადი და ისინი საწარმოების მფლობელებს ზღვის სანაპი-  
როსთან ახლოს, რკინიგზის ხაზის გაყვანისთვის, ყოველთვიურ გადასახადს ახდენენ, მაგრამ ბოლო დროს, საწარმოების მფლობელებმა, როგორც ჩანს, მოისყიდეს ბათუმის ოკრუგის ხელმძღვანელობა და მათაც გადაწყვიტეს, ამისათვის მიზერუ-  
ლი თანხა დაენესებინათ“... გროსო მიუთითებს, რომ ბათუმი  
ენით აუწერელი ბიუროკრატიული ქალაქია. აქ მცირე საქმეს  
ვერ გააკეთებ, ყოველ ნაბიჯზე ბიუროკრატიულ ბარიერს  
აწყდება ადამიანი. აქ პატარა ფურცლისთვის შეიძლება, მთელი  
თვე გალოდინონ და არც მერე გააკეთონ საქმე. ასეთი მსგავსი  
მე არ შემხვედრია არსად, მსოფლიოს არც ერთ ადგილას. რო-  
გორც ეტყობა, ეს არის რუსული ბიუროკრატიული აპარატის  
მუშაობის სტილი. როგორც აქ გავიგე, რუსებს ასეთი მართვის  
წესი დანერგული აქვთ, როგორც ცენტრში, ასევე კოლონიებში.  
აქ, თუ ბევრი ფული არ გაქვს, ძალიან ძნელია საქმის გაკეთე-  
ბა. მექრთამეობა თავისი ზეობის მწვერვალზეა. ქრთამს იღებს  
ყველა, დაწყებული ჯარისკაცით, დამთავრებული ოკრუგის ხე-

ლმძღვანელობით. ამიტომაც არის, რომ ქალაქს მოაწყდა ყველა ჯურის კომერსანტი, ვაჭარი. ისინი ქრთამის საშუალებით ხელში იგდებენ საუკეთესო მიწის ნაკვეთებს ქალაქის ცენტრალურ ადგილას. იყო ერთი ასეთი შემთხვევა: ერთ თურქს უნდოდა ქალაქის ცენტრში აბანოს აშენება, მაგრამ ამის ნება არაფრით არ მისცეს, იმიზეზებდნენ, იმ ადგილას არ შეიძლება მშენებლობაო, ბოლოს მან ქალაქის ხელმძღვანელს მისცა ქრთამი და თურქმაც წამოიწყო მშენებლობა. ასეთი შემთხვევები ბევრია. ბათუმში მე შეეხვდი ერთ ქართველს, გვარად ბაქრაძეს, რომელმაც მითხრა, რომ რუსები ნამდვილი ყაჩაღები არიან, პირზე მარტო ფული აკერიან, ავინრობენ ყველა სხვა ეროვნების წარმომადგენლებს, მათთან ახლოს გარიგებაში იმყოფებიან სომხები და ბერძნები. სომხები ცდილობენ, ყველაფერში ასიამოვნონ რუსებს და ისინიც უფასებენ მათ, აბა, ნახეთ, ქალაქის ცენტრი მხოლოდ სომხებმა, რუსებმა და ბერძნებმა დაიპყრეს, იქ ქართველებს არ უშვებენ და ეს მაშინ, როდესაც ბათუმი ყოველთვის იყო ისტორიულად ქართული ქალაქი და აქ მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ... გროსო ზღვისპირა პარკზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ბათუმის ზღვისპირა პარკის მშენებლობა ჯერ არ დამთავრებულა, იქ კიდევ მიმდინარეობს სამუშაოები. ზღვისპირა პარკის სიახლოვეს გადის რკინიგზის რამდენიმე ხაზი და ეს დიდ დისკომპორტს უქმნის პარკში მოსეირნე ხალხს“...

ასეთია, ნორვეგიელის თვალით დანახული ბათუმი.

## 10. თურქი ახმედ ბაი ბათუმის შესახებ

1857 წლის ბათუმის შესახებ საინტერესო და ბევრისმთქმელი ცნობები დატოვა თურქმა მოგზაურმა და **კაპიტანმა ახმედ ბეიმ**. იგი ბათუმში დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა. ახმედ ბეი სიამაყით აცხადებს, რომ იგი ოსმალთა და იმყოფება ისეთივე ოსმალთა პროვინციაში, როგორიცაა ტრაპიზონისა და ბათუმის სანჯაყები. მართალია, ბათუმის სანჯაყი დასახლებულია აჭარლებით, რომლებიც ადრე ქრისტიანებიც კი ყოფილან, მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო და დღეს ეს მხარე სრულიად შერწყმულია ოსმალეთის სახელმწიფოსთან. ახმედ ბეი საუბრობს თანზიმათის შესახებ და აღნიშნავს, რომ თანზიმათს ვერ შეეგუა ბათუმის სანჯაყში მცხოვრები ზოგიერთი მუქთახორა პიროვნება, ასეთები ტოვებენ თავიანთ საცხოვრებელს და სხვაგან მიდიან. ახმედ ბეი არ მალავს, რომ მოწინააღმდეგენი უმეტესად აჭარლები არიან. მართალია, ოსმალთა კაპიტანი არ ამბობს, მაგრამ ფაქტია, რომ ამან მკვეთრად შეამცირა ქალაქის მოსახლეობა. ბათუმის ყურეს აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც, როგორც ამბობენ, ხალხით იყო სავსე, ამჯერად თითქმის ცარიელია. ახმედ ბეი საუბრობს, რომ ის თვითონვე შეესწრო ფაქტს, თუ, როგორ მიდიოდნენ ქალაქში დასასახლებლად ოსმალეთის სხვადასხვა გუბერნიიდან ხალხი. მიტოვებულ სახლებს ბათუმის ხელისუფლება აღრიცხავს და შემდეგ სხვას გადასცემს მიყიდვის წესით. არის შემთხვევები, როდესაც თვითონ ბათუმელი მოქალაქე ყიდის თავის სახლს მოსულზე. საინტე-



რესოა ისიც, რომ ახალმოსულებს შორის ახმედ ბეი ასახელებს ჩერქეზებს და აფხაზებს, რომლებიც, ძირითადად, ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ. ახმედ ბეი აღნიშნავს, რომ ბათუმში დგას ოსმალეთის სასაზღვრო ჯარი, რომელიც 16.000 კაცს მოითვლის. მათთვის აგებულია ქალაქის ტერიტორიაზე დიდი ყაზარმები, ხოლო ამ ჯარის სარდლობისთვის – შტაბბინა. ხმელეთიდან ქალაქი გამაგრებულია პალისადითა (ძველებურ სიმაგრეში წანვეტებული მორებისაგან გაკეთებული თავდაცვის მესერი) და თხრილებით. ახმედ ბეის მიხედვით, ბათუმი შედგება რამდენიმე ათეული ხის სახლისგან, არის აგრეთვე სულ 7 ორსართულიანი სახლი, სავაჭრო დუქანი და ახის მეჩეთი.

## 11. ზრანგები ბათუმში

